ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ორშაბათი, ხუთშაბათი, შაბათი.

№105 (1615)

25-26 ოქტომბერი, 1997 წელი

## ზვიად გამსახურდია ჯალათებს ემსხვერპლა, გუგუშვილი კი გაპონივით გაქრა

მეორე გვერდი





## ხმამაღლა ფიქრი კორუფციასა და მექრთამეობაზე

მეორე გვერდი

## ასლან აბაშიძის დამ სულ ინტრიგანები გვეძახა

— ამბობს შვილმკვდარი თინა მოწყობილი

მესამე გვერდი

## ელენე თევდორაძე: მე არ დავუჭერ მხარს დავით სალარიძის კანდიდატურას სახალხო დამცველის თანამდებობაზე

მეექვსე გვერდი

## ბანკში აფეთქებაა მოსალოდნელი

### ტერორისტმა მხოლოდ „იხუმრა“

თბილისის დროით 15 საათსა და 15 წუთზე უშიშროების სამინისტროს გამნაღმავებმა „საქართველოს ბანკის“ მთაწმინდის რაიონის ფილიალის შენობის გამოკვლევა დაიწყეს, – იუწყება მოვლენის ადგილიდან პრაიმ-ნიუსის კორესპონდენტი.

ანონიმური ტერორისტის სატელეფონო გაფრთხილების მიხედვით, ბანკის ფილიალის შენობა უნდა აფეთქებულიყო.

ბანკის ფილიალის მმართველს დაახლოებით 13 საათზე დაურეკა უცნობმა ქალმა და შეატყობინა, რომ ერთ-ერთ ინდივიდუალურ სეიფში ასაფეთქებელი მოწყობილობაა დამონტაჟებული. გაფრთხილება გარკვეული დროის შემდეგ გამეორდა. ანონიმის თქმით, აფეთქება 15-16 საათებში მოხდება. ნაღმის ჩამდების მოთხოვნების შესახებ არაფერია ცნობილი.

როგორც პრაიმ-ნიუსს მთაწმინდის რაიონის კრიმინალური პოლიციის უფროსმა ვაჟა დგებუაძემ უთხრა, შესაძლოა განგაში ყალბი აღმოჩნდეს, რადგან ასეთი გაფრთხილებები ხშირად ისმის და არასოდეს ამართლებს, თუმცა მაინც უნდა შემოწმდეს ფილიალის შენობა, რომელიც მჭიდროდ დასახლებულ რაიონში თაბუკაშვილის ქუჩაზე მდებარეობს.

ევაკუირებულ იქნა „საქართველოს ბანკის“ ცენტრალური ოფისის მოსამსახურეები და ჩატარდა შენობის შემოწმება.

გამნაღმველებმა ვერსად ნაღმი ვერ იპოვეს. 15 საათსა და 45 წუთზე მათ დატოვეს შენობა. შემოწმებულ ბანკში თანამშრომლები დაბრუნდნენ. (პრაიმ-ნიუსი)

## აფხაზეთის საკითხი ისევ გადაიდო

წლის ბოლომდე დარჩენილი პერიოდი აფხაზეთის პრობლემის მოგვარების თვალსაზრისით არაფერს გადაწყვეტს, ერთადერთი, რაც რუსეთის ხელისუფლებას უნდა გაეკეთებინა – წინა სამიტებზე მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელებაა, – უთხრა პრაიმ-ნიუსს აფხაზეთის დევნილი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გია გვაზავამ რუსეთის სამშვიდობო ძალებისთვის მანდატის გაგრძელების ფაქტის კომენტირებისას.

23 ოქტომბერს, კიშინიოვში დსთ-ის სახელმწიფო მეთაურთა სამიტზე მიაღწიეს შეთანხმებას ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო ძალებისთვის მანდატის მიმდინარე წლის ბოლომდე გაგრძელების შესახებ.

სამშვიდობო ძალების კონფლიქტის ზონაში ყოფნის ორთვიანი პერიოდი არაფერს წყვეტს, მთავარია, რა მოხდება სამშვიდობო ძალებისათვის მანდატის გასვლის შემდეგ, – თქვა გვაზავამ.

მას ნაკლებად რეალურად მიაჩნია ელცინის განცხადება გალის რაიონში ლტოლვილთა დაბრუნების შესახებ – „ვისი იურისდიქციის ქვეშ დააბრუნებენ ლტოლვილებს?“ (პრაიმ-ნიუსი)

## თბილისობა — 97

ქალაქ თბილისის საგზაო პოლიციის სამსახურის ცნობით, თბილისობის ტრადიციულ დღესასწაულთან დაკავშირებით 26 ოქტომბრის დილის 6 საათიდან 13 საათამდე ავტოტრანსპორტის მოძრაობა აიკრძალება რიყის ტერიტორიაზე, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, კინოთეატრ „ნაკადულიდან“ იაღბუზის ქუჩამდე, მეტეხისა და გორგასლის მოედნებზე, აბანოთუბანში.

მტკვრის მარჯვენა სანაპირო იმუშავებს ჩვეულებრივი რეჟიმით. (მეა)

## ჯაბა იოსელიანის პროცესის დაწყების ვადა ჯერ კიდევ დასადგენია



მეორე გვერდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზვიად გამსახურდია ჯალათებს ემსხვერპლა, გუგუშვილი კი გაპონივით გაქვრა

სულ უფრო და უფრო იზრდება გულისტკივილი საქართველოს პირველი პრეზიდენტის – ზვიად გამსახურდიას დაღუპვის გამო, რომელსაც უდიდესი სიყვარული ამოძრავებდა თავისი სამშობლოს მიმართ. ქართველი ხალხი არ კმაყოფილდება ზვიადის დაღუპვის ირგვლივ იმ საეჭვო დასკვნით, რომელიც თვით მისმა მდევნელმა-სამთავრობო კომისიამ დაადგინა ტერორის შიშით დამფრთხალი ბესარიონ გუგუშვილის ყოვლად ულოგიკო ჩვენებებზე დაყრდნობით. აი, რატომ შეიქმნა (სრულებითაც არა ქ-ნი მანანა არჩვაძის კარნახით) საზოგადოებრივი საგამოძიებო კომისია, რომლის მიზანია ნებისმიერი ხელისუფლებისა (კანონიერი თუ ფაქტობრივი), თუ ცალკეული ავტორიტეტების მიმართ ყოველგვარი მორიდების გარეშე ამხილოს დამნაშავენი და დაადგინოს ჭეშმარიტება საუკუნის ტრაგედიისა.

როგორც მკითხველი საზოგადოებისათვის ცნობილია, ამ თემაზე უკვე გამოქვეყნდა კიდეც კრიტიკული წერილები გაზეთებში: ბატონი გიორგი კერვალიშვილის წერილი გაზეთ „ახალ თაობაში" და ჩემი წერილი გაზეთ „საქართველოში", სადაც პირადად ჩემს მიერ საკმაოდ ლოგიკური დასაბუთებით მხილებული იყვნენ პრეზიდენტის მკვლელებიც და მათი ხელის შემწყობებიც.

და, აი, უკვე ამას მოჰყვა იმათი გალიზიანებული რეაქცია, ვისაც ამ პუბლიკაციების მიხედვით ბრალი ედებათ პრეზიდენტის დაღუპვაში, ან ნებსით თუ უნებლიეთ ხელის შეწყობაში, ანდა მკვლელობის ფაქტის გადასხვაფერებაში. ხელისუფლებას ამ მხრივ ისე უჭირავს თავი, თითქოს ეს ამბავი მას სულაც არ ეხებოდეს, რადგან აგერ ჰყავს მოწმე – თვით ამ ტრაგედიის მხილველი – ბატონი გუგუშვილი, რომელიც ამ მკვლელობას თვით მოკლულ პრეზიდენტს აბრალებს და მეტოქე ხელისუფლება კი, რომელიც სისხლხორცეულად იყო დაინტერესებული მისი გზიდან ჩამოცილებით, უცოდველი ბატკნის როლში გამოჰყავს.

ამას წინათ გაზეთ „ალიას" კორესპონდენტთან საუბარში ბესარიონ გუგუშვილმა კვლავ დაადასტურა ზვიადის მკვლელობის შესახებ ის ჩვენებები, რომელიც ადრე გამოძალეს სპეცსამსახურებმა სამეგრელოს ტყეებში გამოჭერილ გუგუშვილს საქართველოდან უმტკივნეულოდ გაშვების ფასად.

ეგებ ვინმემ იკითხოს – მაშინ კი, როცა ბატონი გუგუშვილი მართლაც ტერორის ქვეშ იმყოფებოდა ჯიხასკარში, აეძულებინათ, რომ ზვიადის მკვლელობაში ფეხდაფეხ მდევნელი სპეცსამსახურების როლი დაემალა და ეს ტრაგედია თვით პრეზიდენტისათვის დაებრალებინა საქართველოდან უვნებლად გაშვების ფასად, მაგრამ ახლა ხომ უცხო ქვეყანაში იმყოფება ბატონი ბესარიონი და იქ რიღასი ეშინია, იგივე ვერსიას რომ ადასტურებს ზვიადის თვითმკვლელობის შესახებო? საქმე ის გახლავთ, რომ ბატონი ბესარიონი იქაც შიშის კანკალშია. რაო, ქარქარაშვილს მოსკოვში ვერ გაუსწორდნენ, ანდა უკრაინაში ვერ აიყვანეს ლოთი ქობალია?! ბატონი ბესარიონის ეს შიში დასტურდება გაზეთ „ალიას" კორესპონდენტის წინაშე მის განმარტებაშიც, რომ „დღევანდელი ხელისუფლების პირობებში სახელმწიფო საიდუმლოების გაცემა დაუშვებლად მიაჩნია". მაშასადამე, იგი სიმართლეს იტყვის ამ ტრაგედიის ირგვლივ მხოლოდ მაშინ, როცა ეს ხელისუფლება გადაშენდება და ჭეშმარიტების გამხელისა აღარ შეეშინდება.

დავუბრუნდეთ ისევ წინა კითხვას. თუკი, ბატონი ბესარიონის ჩვენებით, მილიონ დოლარად შეფასებული პრეზიდენტი ვერ გადაურჩა სიკვდილს, თუკი 750 ათას დოლარად შეფასებული ლოთი ქობალია უკრაინაში დაატყვევეს და ციხეში უკრეს თავი, როგორღა გადაურჩა სიკვდილს ან ტყვეობას 250 ათას დოლარად შეფასებული ბესარიონ გუგუშვილი? შეეძლო თუ არა ჩვენს ფაქტობრივ ხელისუფლებას მისი მოკვლა ან ტყვედ აყვანა გინდ მაშინვე ჯიხასკარში, და გინდ შემდეგ უცხოეთში? შეეძლო, როგორ არ შეეძლო მაშინაც და ახლაც, მაგრამ მშვიდობიანად გაუშვა იგი საქართველოდან და არსად ხელს არ აკარებს მას, რადგან ხელისუფლებას სჭირდება იგი, როგორც ერთადერთი თანამოწმე იმის დასადასტურებლად, რომ ზვიად გამსახურდია ამჟამინდელ ხელისუფლებას კი არ მოუკლავს, არამედ მან

გაგრძელება მე-5 გვ.

## ჯაბა იოსელიანის პროცესის დაწყების ვადა ჯერ კიდევ დასადგენია

„მხედრიონის" ყოფილი ლიდერის ჯაბა იოსელიანის სასამართლო პროცესის დაწყების ვადა ჯერ კიდევ არ დანიშნულა, – უთხრა პრაიმ-ნიუსს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პირველი ინ-



სტანციის კანცელარიის გამგემ, დავით ხომერიკმა.

ორი წელი სრულდება, რაც „მხედრიონის" ყოფილი ლიდერი ჯაბა იოსელიანი და სხვა ბრალდებულები დაკავებული არიან ტერაქტის საქმეზე.

მიმდინარე წლის აგვისტოში სასამართლოს განმანაწილებელ სხდომაზე გადაწყდა პროცესის უზენაესი სასამართლოს შენობაში გამართვა და ამ გადაწყვეტილების შეცვლა მხოლოდ შემდგომ გამანაწილებელ სხდომას შეეძლო, რომელიც ჯერ არ გამართულა. ამიტომ, ექსპერტების გაოცება გამოიწვია პარლამენტის პატიმართა უფლებების დაცვის ქვეკომიტეტის თავმჯდომარის ელენე თევდორაძის განცხადებამ იმის შესახებ, რომ პროცესისათვის შსს-ის სპორტდარბაზი მზადდება, სადაც სპეციალურად დაკვეთილ გალიებში მოათავსებენ ბრალდებულებს. ამასთან დაკავშირებით პროტესტი გამოთქვეს ბრალდებულებმა და განაცხადეს, რომ ასეთ შემთხვევაში უარს იტყვიან პროცესზე დასწრებაზე.

ხომერიკის თქმით, ჯაბა იოსელიანისა და სხვა 14 განსასჯელის მრავალტომიან სისხლის სამართლის საქმეს ჯერჯერობით ადვოკატები ეცნობიან და პროცესის დაწყების ვადა უახლოეს მომავალში დაინიშნება. მისი თქმით, სასამართლო პროცესი მიმდინარე წლის ბოლომდე აუცილებლად დაიწყება. (პრაიმ-ნიუსი)

## გამარჯობა ჯარი!

### თავდაცვის სამინისტრო აჯამებს შედეგებს

იალღუჯაში თავდაცვის სამინისტროსა და მთავარი შტაბის სამმართველოების ოფიცრებისა და ზემდეგების 1997 სასწავლო წლის შემაჯამებელი შემოწმება მიმდინარეობს, რომელიც სამეთაურო შემადგენლობის მომზადების დონის შემოწმებას ითვალისწინებს. (ბეა)

# ხმამაღლა ფიქრი კორუფციასა და მექრთამეობაზე

თანამედროვე დამოუკიდებელ საქართველოში კორუფციას ნაყოფიერი ნიადაგი შეუქმნა ახლო წარსულში გამეფებულმა დესტაბილიზაციისა და ქაოსის ატმოსფერომ. დატაცებითი იმპულსი მისცა მას მაფიოზური კლანების ჩამოყალიბებამ, რომლებმაც შეაღწიეს სახელმწიფო მმართველობის სტრუქტურებში. ადგილობრივმა კრიმინალურმა ელემენტებმა დანაშაულებრივი კავშირი დაამყარეს საზღვარგარეთის ქვეყნების წარმომადგენლებთან, რითაც დანაშაულმა საერთაშორისო ხასიათი მიიღო. ყოველივე ამან ხელი შეუწყო კორუფციის მასშტაბების ზრდას და ქვეყნის მიმართ ეკონომიკური დივერსიების განხორციელებას, რაც საბოლოო ჯამში ძირს უთხრის საქართველოს ეკონომიკურ ძლიერებას და ნეგატიურ გავლენას ახდენს მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე.

კორუფციას მთელი რიგი ობიექტური სოციალური და სუბიექტური მიზეზები განაპირობებს, მაგრამ მათ შორის ძირითადად მაინც ხელისუფლების ტოტალიტარული სისტემის, ყოფილ და ამჟამინდელ ხელისუფალთა ამორალობისა და უზნეობის სიცოცხლისუნარიანობაში მდგომარეობს. ცნობილია, რომ ბევრმა ყოფილმა კომუნისტური ხელისუფლების თანამდებობის პირმა ქამელეონივით სახე იცვალა, დემოკრატიისა და დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების სტრუქტურებში სხვადასხვა გზით და პირველ რიგში პოლიტიკური მაქინაციებით მოხერხებულად მოერგო. შეიძლებოდა არა ერთი მაგალითის დასახელება, როცა ბევრმა უზნეო და მედროვე ე.წ. „კომუნისტმა" ჯერ 9 აპრილის შემდეგ პარტიული ბილეთი „ისროლა", ხოლო შემდეგ რაღაც პოლიტიკური თაღლითობით თვით ცენტრალური კომიტეტის მდივანიც კი გახდა. „მრგვალების" ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ ეროვნული მოძრაობის „თავდადებულ" მებრძოლებად მოგვევლინნენ, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისა და დიდი კოლექტივების ხელმძღვანელები გახდნენ და ხელისუფლების უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოებში მოხვდნენ. მაგრამ როგორც კი „მრგვალების" ხელისუფლების სათავეში ყოფნა საეჭვო გახდა, მედროვეთა ამ უზნეო „ფსევდოპატრიოტებმა" ზურგი აქციეს თავიანთ მფარველ პრეზიდენტს და კვლავ ოპოზიციაში აღმოჩნდნენ. ზოგიერთ ამ მედროვესა და დემაგოგს ამ თაღლითური პოლიტიკური საქმიანობით დღესაც თანამდებობები უკავია და პარლამენტშიც არის არჩეული, რაც შეეხება ახალ ხელისუფალთ, რომლებსაც არ გააჩნიათ მტკიცე სოციალური საფუძველი, თავს დროებითად გრძნობენ და ჩქარობენ, რაც შეიძლება ბევრი მიიტაცონ, უზრუნველყონ შვილებისა და შვილიშვილთა „ტკბილი ცხოვრება" დაბეჩავებული და გაუბედურებული საქართველოს რიგით მოქალაქეთა მაქსიმალური გაღატაკებისა და გაძარცვის გზით.

საქართველოს დღევანდელი სინამდვილიდან აშკარად ჩანს, რომ ხალხის მიერ ათეული წლობით შექმნილი ეროვნული სიმდიდრე ათასნაირი მაქინაციებით გადავიდა სხვადასხვა ჯურის მტაცებელთა-კრიმინალური „წითელი" და ეროვნულ ქურქში გახვეული მაფიის, მექრთამეობით ჯიბეგატენილი ბიუროკრატებისა და სპეკულანტების ხელში. ამ ორგანიზებულმა მაფიოზურმა საერთაშორისო ჯგუფებმა გაყიდეს სტრატეგიული თუ არასტრატეგიული ნედლეული, პირწმინდად გაძარცვეს მძლავრი სამრეწველო აგროკომპლექსი, ფაბრიკა-ქარხნები, საწარმოო და სამშენებლო ობიექტები, სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებები, ბანკები და სალაროები, თურქეთში და სხვა მეზობელ ქვეყნებში გაზიდეს ყველაფერი: მანქანა-დანადგარები, შავი და ფერადი ლითონი, ხე-ტყე, ელექტროსადგურები და მაკულატურაც კი, დაიტაცეს უცხოეთის მიერ გამოყოფილი მილიონობით კრედიტები. ზნეობრივად გამორჩეული ქართველი ქალი უცხოეთში მოჯამაგირეობის გზაზე დააყენეს, შეურაცხყვეს ეროვნული ტრადიციები. ჰუმანიტარული დახმარებით შემოსული წამალი მადააშლილი ბიზნესმენთა ზღაპრული შემოსავლის წყაროდ იქცა.

გაგრძელება მე-4 გვ.

დასაწყისი იხ. „საქართველო" №104

## ნეტა რუსეთი რას ფიქრობს ამის შესახებ?



საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივას, „ტრასეკა"-ს ფარგლებში საერთაშორისო ტრანზიტისათვის მაქსიმალური ხელშეწყობის შესახებ, დაუყოვნებლივ გამოეხმაურა ევროკომისიის კომისარი ჰანს ვან დენ ბრუკი. შეგახსენებთ, რომ ე.შევარდნაძემ ევროკომისიას შესთავაზა ევროპისა და აზიის ყველა დაინტერესებული სახელმწიფოს მონაწილეობით, ევროკავშირის ეგიდით ამ საკითხის უმაღლეს დონეზე განხილვა. თავის წერილში ვან დენ ბრუკი მიიჩნევს, რომ ე.შევარდნაძის ინიციატივა „ლოგიკური გაგრძელებაა იმისა, რასაც ჩვენ ერთად ვაკეთებთ „ტრასეკა"-ს განვითარებისათვის" და გამოთქვამს მზადყოფნას, მონაწილე და დაინტერესებულ სახელმწიფოთა სამიტის ორგანიზებისათვის. მასვე მიაჩნია, რომ ევროკომისია შემდგომ ეტაპზე შესაბამის დახმარებას გაიღებს ამ ხელშეკრულების რეალიზაციის დასაჩქარებლად. (იპრინდა)

## სამიტი – მორიგი ფარსი

საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე სახალხო პარტიის მიერ გაკეთებულ მიმართვაში, დსთ-ს მეთაურთა კიშინიოვის სამიტს მორიგი ფარსი ეწოდა, რომელმაც, მიმართვის ავტორთა აზრით, „პოლიტიკური ანტურაჟით" შეალამაზა რუსეთის იმპერიული სულისკვეთება და სურვილი – გავლენა იქონიოს ყოფილ სსრკ-ში შემავალ რესპუბლიკებზე, დააპირისპიროს ისინი მსოფლიოში მიმდინარე ჯანსაღ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებთან. მათივე აზრით, ნათლად გამოიკვეთა რუსეთის მიზანი საქართველოს მიმართ, რაც დსთ-ს საშუალებით სამხედრო ბაზების, სასაზღვრო ჯარებისა და ე.წ. სამშვიდობო ძალების, აგრეთვე რუსეთისავე სპეცსამსახურების საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნისათვის სამართლებრივი საფუძვლის შექმნაში გამოიხატება.

სახალხო პარტიას მიაჩნია, რომ დროა საქართველომ იფიქროს დსთ-დან გამოსვლაზე და მოუწოდებს საქართველოს პრეზიდენტს, დაიწყოს დსთ-დან გამოსვლის პროცედურა. პარლამენტის თავ-რეს კი პარტია მოუწოდებს ეს საკითხი გახდეს პარლამენტის უახლოესი სხდომების მსჯელობის საგანი და მიღებული იქნას საქართველოს სტრატეგიული ინტერესების შესაბამისი გადაწყვეტილება. (იპრინდა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ასლან აბაშიძის დამ სულ ინტრიგანები გვექახა

## — ამბობს შვილმკვდარი თინა მოწყობილი

*ადრე საკმაოდ პოპულარული, იატაკქვეშ შეთგამოვლილი რომანი „მონანიება" გამახსენდა. გამომძიებელი გახსნილი საქმის შემდეგ საშკა ჩერქეზის გაკვირვებას ელოდება. ის კი პასუხობს: „რაღაა გასაკვირი, თუ ქურდებმა ბოზობა დაიწყეს და ექიმებმა – გამომძიებლობა" („ხანდაზმულობის ვადის" გასვლის გამო ციტირების სიზუსტეზე თავს ვერ დავდებ, რისთვისაც ბოდიშს გიხდით). დაახლოებით ასეთი სიტუაციაა დღესაც. გამომძიებლობს ექიმიც, ვაჭარიც, პროფესორიც, დაზარალებულიც და იგივე არ გამიკვირდება დამნაშავისაგანაც. ჟურნალისტებს ხომ უკვე საკმაო პრაქტიკა აქვთ გავლილი ამ მხრივ.*

*საქმემ, რომელზეც მოგახსენებთ, იარა, იარა, დაზარალებულმაც გამოიძია, „7 დღის" ხელშიც მოხვდა, ბოლოს ჩვენთან მოვიდა. ჩვენ ვიფიქრეთ, ვიფიქრეთ და დილეტანტურ, ჟურნალისტურ გამოძიებას ვამჯობინეთ თქვენს სამსჯავროზე გამოგვეტანა ეს ამბავი. ერთადერთი თქვენა ხართ, ძვირფასო მკითხველო, ვისაც ეს საქმე არ გამოგიძიებიათ და, აი, თქვენც ამის შესაძლებლობა გეძლევათ.*

*ჩვენ მხოლოდ მოგაწვდით ფაქტებს, ან უეჭველი ფაქტების არქონის შემთხვევაში, როგორც გამოძიების, ისე დაზარალებული მხარის ინტერპრეტაციას.*

1996 წლის 30 იანვარს ქობულეთის რაიონის სოფელ კვირიკეში მცხოვრები მანუჩარ ვერულიძე დღის 3 საათის შემდეგ ბიძის მანქანით გაემგზავრა ქობულეთში. იქ შეხვდა აწ გარდაცვლილი ვლადიმერ მოწყობილი, მამამისი შოთა მოწყობილი, და დედა თინა ვერულიძე-მოწყობილი.

მათი შეხვედრის მიზეზი და თემა ზოგადად ასეთი იყო: მანუჩარი და ვლადიმერი ნათესავები და თანაკურსელები, ამასთან ორივენი სამხედრო სავალდებულო სამსახურში იყვნენ. ქბათუმის უნივერსიტეტში, სადაც ისინი სწავლობდნენ, ვლადიმერს დაავალეს, რომ მანუჩარი აუცილებლად ჩამოვიდეს გამოცდის ჩასაბარებლადო. ამიტომ ყველამ გადაწყვიტა, რომ დილით მანუჩარი და ვლადიმერი ერთად გაემგზავრებოდნენ ბათუმში. ისინი მეგობრებიც იყვნენ, სულ ერთად ატარებდნენ დროს და ვლადიმერის მშობლებმა შვილის მანუჩართან დატოვება გადაწყვიტეს იმ საღამოს. მშობლების გასაკვირად ვლადიმერმა უარი განაცხადა იმ ღამით მანუჩართან დარჩენაზე და რამდენჯერმე შეახსენა ეს გარემოება მამამისს. მშობლებმა მაინც თავისი გაიტანეს, მანუჩართან დატოვეს ვლადიმერი.

დამშვიდობებისას შოთა მოწყობილმა ბიჭებს დაუბარა: მალე დავბრუნდები და შეგამოწმებთო (ე.ი. მ.ვერულიძემ იცოდა, რომ შეამოწმებდნენ).

მანუჩარ ვერულიძე და ვლადიმერ მოწყობილი მანქანით წავიდნენ სოფ.კვირიკეს მიმართულებით. გზაში მათ შეხვდათ გცენტერაძე მეულლითურთ, რომლებიც სახლამდე მიიყვანეს. დაბრუნებისას გამოიარეს თანაკურსელ ავთანდილ ცენტერაძის ოჯახში, სადაც ავთანდილის მამამ, ოთარ ცენტერაძემ სახელდახელოდ სუფრა გაუშალა. სამივემ დალიეს არაყი 0,75 ლ.-იანი ბოთლიდან.

ამის შემდეგ, დაახლოებით 18 სთ. 30 წუთზე ჩასხდნენ მანქანაში და წამოვიდნენ ქობულეთისაკენ. გზაზე შეამჩნიეს, რომ ბენზინი უთავდებოდათ და არც ფული ჰქონდათ. ქობულეთში მხოლოდ ერთი ლიტრი ბენზინი ჩაუსხეს. იქიდან წავიდნენ სოფელ ხუცუბანში. ვლადიმერმა ბიძას და დეიდას სთხოვა ფული, მაგრამ მათ უარი უთხრეს. შემდეგ ვლადიმერმა თქვა: ეგებ ჩემს დებს ჰქონდეთ ფულიო. მივიდნენ ვლადიმერის ოჯახში. იქ დარჩნენ დაახლოებით ნახევარი საათი.

შოთა მოწყობილი ამბობს, რომ მისი შვილების თქმით, მანუჩარს უთქვამს ვლადიმერისათვის: ჩავალთ ახლა, მაგათ დედას ვუტირებთ, წამოიღე თოფიო. ვლადიმერს არ უნდოდა სახლიდან წასვლა, მაგრამ მანუჩარს ისევ დაუძალებია სიტყვიერად.

თოფი და ორი ვაზნა წამოიღეს. შემდეგ შეიარეს ვლადიმერის დეიდის ეთერ ვერულიძის ოჯახში. ვლადიმერი იქაც გულაჩუყებული ყოფილა. ყველა გადაკოცნა და დაემშვიდობა, ისევე, როგორც თავის სახლში.

შემდეგ შეხვდათ გია ავთოსძე მოწყობილი, რომელსაც სთხოვეს, მათთან ერთად წამოსულიყო. ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა. ასევე უარი უთხრა გაყოლაზე ლერი გოგმაჩაძემ.

ვლადიმერის ოჯახიდან წამოსვლის შემდგომ მოვლენებზე გამოძიება არაფერს ამბობს და მიუთითებს 20 სთ. და 30 წუთს, როდესაც ახალგაზრდები ქობულეთისაკენ გაემართნენ.

ახლა მივმართოთ მათემატიკას. ხუცუბნიდან ქობულეთამდე და უკანდასაბრუნებელ გზას შეიძლება სადღაც 30 წუთი დაეთმოს. გამოძიების მასალების მიხედვით, მანუჩარმა და ვლადიმერმა სოფელში დაჰყვეს დაახლოებით 30 წუთი. ესეც 19 სთ. 30 წ. დანარჩენი ერთი საათის განმავლობაში რა ხდებოდა, გამოძიების მასალებში არ ჩანს. ასევე არ ფიგურირებს არსად თოფი და ორი ვაზნა, რომლის წაღების ფაქტსაც შ.მოწყობილის შვილები ადასტურებენ.

მაშ ასე, 20 სთ.30 წთ. ნასვამ მდგომარეობაში მყოფი მანუჩარ ვერულიძე საჭესთან და ასევე ნასვამი ვლადიმერ მოწყობილი მანქანით მიემართებოდნენ ქობულეთისაკენ. ქობულეთის რაიონის სასათბურე მეურნეობის ტერიტორიის მიმდებარე მდინარე კინტრიშის ხიდთან მოხდა უბედური შემთხვევა. მანქანა გადავარდა გზის სავალი ნაწილიდან და 7 მეტრი სიმაღლიდან ჩავარდა მდინარეში.

მანუჩარ ვერულიძე შემთხვევის ადგილიდან დაახლოებით 100–150 მეტრის დაშორებით ამოვიდა წყლიდან, ავიდა გზაზე და სცადა მანქანის გაჩერება. პირველმა სამმა მანქანამ არ გაუჩერა, მეოთხე მანქანის მძღოლმა რ.გოგმაჩაძემ წაიყვანა იგი სოფელში. შემდეგ დაბრუნდა შემთხვევის ადგილზე, წაიყვანა ხალხი, ამწე და წყლიდან ამოიღეს მანქანა, რომელშიც იყო ვ.მოწყობილის გვამი.

ამ ადგილზე შევწყვეტთ თხრობას და მოვიყვანთ 1997 წლის 16 აპრილს გამართული ბათუმის რეგიონალური სამხედრო სასამართლოს განჩინების ტექსტის ნაწყვეტებს:

„წინსწარი გამოძიებისას არ არის დაცული საქ.რესპ.სსსკ 18 მუხლის მოთხოვნები საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის შესახებ, კერძოდ:

1. სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პერიოდში ჩატარებულია ავტოტექნიკური ექსპერტიზა, რომლის დასკვნის თანახმად მძღოლი მ.ვერულიძე მოცემულ ვითარებაში ავტოსატრანსპორტო შემთხვევას ტექნიკური თვალსაზრისით თავიდანვე ვერ აიცილებდა და საგზაო მოძრაობის წესების დარღვევას მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონია. ამ დასკვნის საფუძველზე წარმოებით იქნა შეწყვეტილი სისხლის სამართლის საქმე მ.ვერულიძის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის არ არსებობის გამო (სსკ-ის 5 მუხ. მე-2 პუნ.) საქმის განახლების შემდეგ ისე წარედგინა მ.ვერულიძეს ბრალი და საქმე წარიმართა სასამართლოში, რომ განმეორებითი, აქ დამატებითი ავტოტექნიკური ექსპერტიზა არ ჩატარებულა, რაც აუცილებელი იყო.

2. გამოძიებამ სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმე იმ ნაწილში, რომ ხომ არ იყო მ.ვერულიძის ქმედებაში საქრესპ.სსკ-ის 129-ე და 139-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები. მ.ვერულიძის მიერ მდინარეში 100–150 მეტრის ცურვით გადალახვა, გზაზე ამოსვლა, ავტომანქანის გაჩერება და სახლში წასვლა, მართლაც, ეჭვის ქვეშ აყენებს მის შეურაცხადობის მდგომარეობაში ყოფნის საკითხს და სასამართლოს მიაჩნია, გამოძიებამ უნდა იმსჯელოს ამ მუხლებით გათვალისწინებული ბრალის წარდგენაზე.

3. გამოძიებამ არ ჩაატარა სასამართლო – სამედიცინო ექსპერტიზა, გვამის ექსგუმაცია და არ დაადგინა ვ.მოწყობილის სიკვდილის მიზეზი, რომლის ჩატარება აუცილებელი იყო, მითუმეტეს დაზარალებული თავიდანვე მიუთითებდა გამოძიებას, რომ ეჭვი ჰქონდა ვ.მოწყობილის განზრახ მკვლელობაზე. უფრო მეტიც, თავის დროზე თვით გვამის დათვალიერებაც კი არ მომხდარა სამედიცინო ექსპერტის მონაწილეობით.

4. წინასწარი გამოძიების პერიოდში დაზარალებულის ინტერესების დამცველის შუამდგომლობა დამატებითი მოწმეების დაკითხვის შესახებ და ამავე საკითხზე დაზარალებულის მოთხოვნა დატოვებულია რეაგირების გარეშე. გამომძიებელს არ გამოუტანია დადგენილება ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, რამაც სასამართლო პროცესზე წარმოშვა წინააღმდეგობა, ვინაიდან დაზარალებული კატეგორიულად მოითხოვს მის მიერ დასახელებული მოწმეების თავდაპირველად, საიდუმლოების დაცვის მიზნით არ დაიკითხონ საჯაროდ და დაიკითხონ ისინი წინასწარ გამოძიებაში.

5. გამოძიებას სრულად, ობიექტურად არ გამოუკვლევია ის გარემოებები, როგორიცაა, თუ როგორ ვითარებაში, რა დროს მოახერხა მ.ვერულიძემ ავტომანქანიდან გამოსვლა. მართლაც ავტომანქანა მძღოლის მხრიდან ჩავარდა წყალში და ფსკერზე სწორედ ამ მხრიდან ეყრდნობოდა. კარები ავტომანქანის ამოღებისას გაიღო და მძღოლის მხრიდან გადმოვარდა ვ.მოწყობილის გვამი. ამ ნაწილში ბუნდოვანია გამოძიების მიერ მოპოვებული მტკიცებულებები, რაც ეჭვს უქმნის დაზარალებულს. ასევე გამოძიებამ სათანადო ყურადღება არ მიაქცია ვ.მოწყობილის ოჯახიდან გადაჭრილი სანადირო თოფის წამოღებას, წამოღების მიზანს და იმას, თუ რა ბედი ეწვია ამ თოფს. ესეც გარკვეულად აძლევს საფუძველს დაზარალებულს, ეჭვის ქვეშ დააყენოს ვ.მოწყობილის ავტოავარიის შედეგად სიკვდილი. ამდენად ამ საკითხის ობიექტურ გამოკვლევას არსებითი მნიშვნელობა აქვს.

7. მოცემული სისხლის სამართლის საქმის მესამე ფურცლიდან შედგენილია ავტოსატრანსპორტო შემთხვევის ადგილის სქემა, რომელზეც არ ჩანს თარიღი, არც ის, თუ ვინ არის მისი შემდგენელი.

9. მ.რ.ვერულიძე 1996 წლის 12 თებერვალს ეჭვმიტანილის სახით დაკითხვის ოქმში თავისი ხელით წერს, რომ აწ გარდაცვლილმა ვ.მოწყობილმა მოულოდნელად, რომ არ ელოდა, მან უთხრა მოეხვევინა ხიდზე მარცხნივ და თან ამ მომენტში დაზარალებული ხელით შეწვდა საჭის ბორბალს და ბორბალი შეუბრუნა მარცხნივ, ხიდისაკენ, მან შეეცადა საჭის გასწორება და დაიწყო დამუხრუჭება. დამუხრუჭებული მანქანა მოცურდა და გადავარდა. ამავე წლის 23 ნოემბერს (საქმის ფურცელი 74) განმეორებით ეჭვმიტანილის სახით დაკითხვისას მისივე ხელით წერს და უარყოფს ყოველივე ადრე მიცემულ ჩვენებას. გამოძიება ამ მნიშვნელოვან საკითხზე არ დაინტერესებულა და შემდეგში აღნიშნული მნიშვნელოვანი საკითხი არ ხსენებულა.

მ.რ.ვერულიძის ბრალდების საქმის სასამართლო განხილვა შესაძლებელია მხოლოდ წინასწარი გამოძიების მიერ ამ განჩინებაში აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრის და სრულყოფილი წინასწარი გამოძიების შემდეგ.

**პაატა მანჯგალაძე**

გაგრძელება იქნება

### ტუბერკულოზის ახალი ფორმა

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტებმა 35 ქვეყანაში აღმოაჩინეს ტუბერკულოზის ისეთი ფორმა, რომელიც ამჟამად ცნობილი მედიკამენტებით არ განიკურნება. მეცნიერების აზრით, მდგომარეობა იმდენად სერიოზულია, რომ აუცილებელია სასწრაფოდ ზომების მიღება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსალოდნელია ეპიდემიის ელვისებური სისწრაფით გავრცელება. ტუბერკულოზის განუკურნებელი ფორმები წარმოიშვა იმ ადამიანების ორგანიზმში მიმდინარე მუტაციების შედეგად, რომლებმაც მკურნალობის არასწორი ან არასრული კურსი გაიარეს. ამ ფორმის დაავადებების მაღალი დონე დაფიქსირებულია ლატვიაში, ესტონეთში, რუსეთში, დომინიკის რესპუბლიკასა და არგენტინაში. (გეა)

### ღარიბაშვილი – დამოუკიდებელ მოსამართლეებზე

გუშინ საქართველოს პარლამენტში ქვეყანაში სასამართლო რეფორმის მიმდინარეობის ძირითადი მიმართულებების შესახებ საპარლამენტო კომიტეტისა და მრჩეველთა საბჭოს ერთობლივი კონფერენცია უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ იმის გამო, რომ მოუცლელობისა თუ სხვა მიზეზებით ხალხი არ შეიკრიბა, კონფერენცია ერთი კვირით გადაიდო.

„სასამართლო რეფორმა საქართველოში იმდენად ნელა მიმდინარეობს, რომ ვერც გაარჩევ მიდის თუ არა. რაც უფრო ღრმად შევდივართ ამ პროცესში, მით უფრო მეტ წინააღმდეგობას ვაწყდებით" – აღნიშნა გეა-ს კორესპონდენტთან საუბრისას ადვოკატმა ქართლოს ღარიბაშვილმა,



რომელმაც, სხვებისგან განსხვავებით, „მოიცალა" კონფერენციისათვის.

მისი თქმით, რეფორმის გატარების შემდეგ იქნება დამოუკიდებელი სასამართლო, რაც არ აწყობთ, როგორც პარლამენტართა ნაწილს, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების ელიტას, აგრეთვე ქვეყნის პრეზიდენტსაც, ვინაიდან, ღარიბაშვილის აზრით, დამოუკიდებელი მოსამართლე არ იქნება დამოკიდებული არა მარტო მოსახლეობაზე, არამედ თვით პრეზიდენტზეც.

რაც შეეხება დღეს არსებულ ვითარებას, ადვოკატმა ის შემდეგნაირად შეაფასა: „სასამართლო ქვეყანაში არ არსებობს, სასამართლო სისტემა გაპარტახებულია, ის მაფიის ხელშია, დაკანონებულია ყიდვა-გაყიდვის პროცესი". ამის მიზეზად მან ანაზღაურება დაასახელა.

„ხელისუფლების მიზანია სასამართლო მათ დაკვეთებს ასრულებდეს. ამაში ვგულისხმობ ბიზნესის სფეროში, პოლიტიკის სფეროში და ა.შ. მოწინააღმდეგეთა ჯგუფის დაჭერას", – დასძინა ადვოკატმა.

ქართლოს ღარიბაშვილს მიაჩნია, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები, რომელთაც ხელთ უპყრიათ მატერიალური მართვის სადავეები, არ არიან დაინტერესებული რეფორმების გატარებით. (გეა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საშემოდგომო თესვის ტემპები კატასტროფულად ჩამორჩება აგროვადებს

საშემოდგომო თესვა კატასტროფულად ჩამორჩება აგროვადებს, რაც 1 ოქტომბრამდე ითვალისწინებდა სამუშაოების დასრულებას,- უთხრა პრაიმ-ნიუსს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის თავმჯდომარემ სიმონ უზუნაშვილმა.



გათვალისწინებული 185 ათასი ჰექტარი მიწის ფართობის ნაცვლად 114 ათასია მოხნული. დათესილია მხოლოდ 43 ათასი ჰექტარი ფართობი. სამუშაოების გაჭიანურება ხანგრძლივი წვიმებითაა გამოწვეული. მეურნეებს პრობლემა შეუქმნა წვიმების შედეგად ამოსულმა ბალახმაც.

თესვის პროცესის შეჩერების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად უზუნაშვილი ასახელებს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ მიწის იჯარაზე ხელშეკრულებების გადაფორმებას.

უზუნაშვილის თქმით, საქართველო პირველად კმაყოფილდება მარცვლეულის საკუთარი თესლით. (პრაიმ-ნიუსი)

## რუსეთი ნავთობის ტრანსპორტირებისათვის მზად არის

რუსეთი მზად არის აზერბაიჯანული ნავთობის ტრანსპორტირებისათვის, - განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას რუსეთის მთავრობის პირველმა ვიცე-პრემიერმა, ბორის ნემცოვმა.

მისივე თქმით, ჩეჩნეთის ტერიტორიაზე ნავთობსადენის აღდგენითი სამუშაოები დასასრულს უახლოვდება.

სამხრეთის ნავთობკომპანიის პრეზიდენტის, ხოჯახმედ იარიხანოვის თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით, ნემცოვმა განაცხადა, რომ ეს პრეზიდენტ მასხადოვის პრეროგატივა იყო. ამასთანავე, მან აღნიშნა, რომ ჩეჩნეთში არიან ადამიანები, რომლებთანაც შეიძლება მუშაობა. (ბეა).

# ხმამაღლა ფიქრი კორუფციასა და მექრთამეობაზე

მეორე გვერდიდან

თავი იჩინა ზნეობრივი დეგრადაციის ტენდენციამაც, რაც გამოავლინა ერის საგანძურის, უნიკალურ კულტურულ ფასეულობათა დატაცება-განიავების მომძლავრებულმა პროცესმა.

სხვადასხვა უწყების დანაშაულებრივი მიყრუებით საქართველოს ბაზარი გაივსო იაფფასიანი ეკოლოგიურად საშიში საქონლით, რომლის უდიდესი ნაწილი ქვეყანაში კონტრაბანდული გზით არის შემოტანილი. ეს იწვევს ანალოგიური ქართული წარმოების პროდუქციის ჩაწოლას და, გარკვეულწილად, ხელს უწყობს ჩვენი საწარმოების პარალიზებას. ამ გზით მიღებული ფულადი სახსრებიდან შესაბამისი თანხა არ შედის სახელმწიფო ბიუჯეტში და საზღვარგარეთ გაედინება ნაღდი ფულის სახით.

მაფიოზურმა კლანებმა დააკანონეს უპატიოსნო, ქურდული გზით მოპოვებული ვალუტა, საზღვარგარეთ შეიძინეს ბინები და აგარაკები, ძვირადღირებული ავტომანქანები, დედაქალაქის ცენტრში წამოიწყეს მეფური სასახლეების მშენებლობა. გარდამავალი პერიოდის ამ მძიმე ეტაპზე პოლიტიკური ხელისუფლების მაღალი ეშელონებიდან გადმოსროლილმა პრაქტიკულად გაუმართლებელმა და სოციალურად მცდარმა ლოზუნგმა: „საქართველოში იქნებიან ძალიან მდიდრები და ძალიან ღარიბები" წარმოშვა მართლაც ძალზედ მდიდარი კასტა, ხელი შეუწყო პრივატიზაციის პროცესში სახელმწიფო საკუთრების დატაცებასა და განადგურებას, რაც ქართველი ერის წინაშე უდიდეს დანაშაულად უნდა მივიჩნიოთ. საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი შიმშილობს და სოციალურად დაუცველია. ჯანმრთელობის დაცვის დარგში გატარებული რეფორმები კი ძნელია მოიძებნოს ცივილიზებული მსოფლიოს პრაქტიკაში.

სახელმწიფო სტრუქტურებში მოკალათებულმა მაფიოზურმა კლანებმა ეს ყველაფერი არ იკმარეს, მათი უშუალო ხელშეწყობით და მფარველობით შეიქმნა მთელი რიგი ე.წ. ერთი პირის სამრეწველო სავაჭრო კომპანიები, საქართველოს ტელევიზიით მიმდინარეობდა აღვირახსნილი რეკლამა. ამ წინასწარ ორგანიზებულმა კომპანიებმა მოტყუებით გამოძალეს ყველაზე უფრო გაჭირვებული, სოციალურად დაუცველი ფენის - პენსიონერთა, ინტელიგენციის უკანასკნელი დანაზოგი და მიიმალნენ.

მდგომარეობა ქვეყანაში საგანგაშოა. კორუფცია და არაკეთილსინდისიერი ბიზნესი იფურჩქნება, სამამულო წარმოება კი ნადგურდება. საქართველოს პოლიტიკურმა ხელისუფლებამ გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს. უშიშროების სამსახურებისათვის მასშტაბური რჩება სეპარატიზმთან და ექსტრემიზმთან, ეკონომიკურ დივერსიასთან, კორუფციასთან და საერთაშორისო ნარკობიზნესთან ბრძოლა. კორუფციასთან ბრძოლაში, სამართალდამცავ და მაკონტროლებელ ორგანოებთან ერთად ფართოდ უნდა ჩაება საზოგადოებრიობა, ინტელიგენცია, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ხელმძღვანელობა და კოორდინაცია ეროვნული უშიშროების საბჭომ უნდა ითავოს, რომელიც შეიმუშავებს ამ ნეგატიურ მოვლენასთან ბრძოლის სახელმწიფოებრივ სტრატეგიულ მიმართულებებს.

თავის მხრივ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემების გადასაწყვეტად მიზანშეწონილად უნდა მივიჩნიოთ, 1990 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჩატარდეს სახელმწიფო საკუთრების ობიექტური ინვენტარიზაცია და მისი შედეგების მიხედვით მოხდეს დატაცებული და მითვისებული სახალხო საკუთრების კონფისკაცია.

პოლიტიკურ ხელისუფლებას შეუძლია დაუბრუნოს მოტყუებულ მეანაბრეებს თავიანთი დანაზოგები. ამ მიზნით კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საპარლამენტო კომისიამ (ან სპეციალურად შექმნილმა საზოგადოებრივმა კომისიამ) უნდა შეისწავლოს საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი ის კორუმპირებული პირები, რომლებმაც ქურდული გზით საზღვარგარეთ შეიძინეს საცხოვრებელი ბინები და აგარაკები, ძვირადღირებული ავტომანქანები და თბილისის ცენტრში ააშენეს ზღაპრული საცხოვრებელი სასახლეები. განხორციელდეს ნაძარცვი და მოპარული ფულით შეძენილი ამ უძრავ-მოძრავი ქონების კონფისკაცია, საჯაროდ გაიყიდოს და ამ გზით შემოსული სახსრებით გაძარცულ მეანაბრეებს აუნაზღაურდეთ.

პოლიტიკური ხელისუფლების ინსტიტუტები უნდა დაკომპლექტდეს კომპეტენტური, უანგარო, სპეტაკი და ახალგაზრდა პერსპექტიული კადრებით. რესპუბლიკის პრესაში უნდა გამოქვეყნდეს სია იმ მოქალაქეებისა (თანამდებობის ჩვენებითაც), რომლებმაც შეღავათიანი კრედიტები აიღეს ან დაიტაცეს, უცხოეთის ბანკებში ათასობით დოლარები შეინახეს, სხვადასხვა მაქინაციებით საზღვარგარეთ საცხოვრებელი „ქოხები", აგარაკები შეიძინეს და საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი შიმშილობამდე მიიყვანეს.

**შოთა თეთვაძე**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

## ჯერ თავო და თავოო...

სპეციალისტთა აზრით, საქართველოს ტერიტორიაზე წყლის რესურსების არათანაბარი განაწილების გამო ქვეყანაში სერიოზული პრობლემები იქმნება. განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში - მარნეულის, დედოფლისწყაროსა და გარდაბნის რაიონებში, რომელთა მოსახლეობაც სისტემატურად განიცდის როგორც სასმელი, ასევე სარწყავი წყლის მწვავე დეფიციტს.

უმძიმეს მდგომარეობაშია ქალაქები, სადაც სასმელი წყლის მიწოდება გრაფიკითაც კი ვერ ხერხდება. მაგალითად, ქრუსთავში და ქგარდაბანში, რაც სერიოზულ სოციალურ პრობლემებს ქმნის, ამის გამო ამ რეგიონებში არსებული წყლის რესურსების მაქსიმალურ მობილიზაციას და მის რაციონალურ გამოყენებას განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭება. აქ წყლის თითოეულ ხელოვნურ თუ ბუნებრივ ობიექტს სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია.

ასეთებს მიეკუთვნება საქართველოს ტერიტორიაზე არსებული წყლის ობიექტები, საიდანაც აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, საქართველოს კანონმდებლობის სრული უგულებელყოფით და საერთაშორისო ურთიერთობათა ნორმების დარღვევით, დიდი რაოდენობით წყალი გაედინება. ამ ობიექტების ექსპლუატაციაზეა დამოკიდებული საქართველოს და აზერბაიჯანის მოსაზღვრე ტერიტორიების მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგება, ათეულ ათასობით ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მორწყვა და მეცხოველეობის განვითარება.

ამ საკითხზე იმსჯელეს დღეს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე, რომელსაც კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, გიორგი გაჩეჩილაძე უძღვებოდა. სხდომას ესწრებოდნენ სოფლის მეურნეობისა და სურსათის და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროების წარმომადგენლები, რომლებმაც მიიღეს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც საქართველოს მთავრობამ ერთი თვის ვადაში უნდა უზრუნველყოს აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობასთან ხელშეკრულების გაფორმება და არსებული პრობლემების დარეგულირება. (ბეა)

## „იმპიჩმენტის შესახებ"

საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის სხდომაზე მოისმინეს კანონპროექტი „იმპიჩმენტის შესახებ", აგრეთვე სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი.

სხდომის მონაწილეებმა იმსჯელეს კანონპროექტის თაობაზე „იმ პირთა უფლებების შესახებ, რომლებიც ცხოვრობენ სხვა პირის საკუთრებაში მყოფ საცხოვრებელ სადგომებში გარიგების დადების საფუძველზე". ეს კანონი გავრცელდება იმ პირებზე, რომლებიც ცხოვრობენ სხვა პირის საკუთრებაში მყოფ საცხოვრებელ სადგომებში უფლების დათმობისა და გარიგების საფუძველზე. კანონში ჩამოყალიბებულია ორი მხარის ქონებრივი ურთიერთობის ნორმები და შესაძლო დავების განხილვის წესი. (ბეა)



# ნიკო ლეკიშვილი: დსთ-ს უკანასკნელი შანსი მიეცა თავისი არსებობის აუცილებლობის დასამტკიცებლად

საქართველოს ნებისმიერ მომენტში შეუძლია აფხაზეთში რუსეთის სამშვიდობო ძალების მანდატის შეწყვეტის მოთხოვნა, - უთხრა პრაიმ-ნიუსს დსთ-ის კიშინიოვის სამიტის გადაწყვეტილებების კომენტირებისას საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა.

დსთ-ის ქვეყნების მეთაურთა სამიტზე 23 ოქტომბერს მიაღწიეს შეთანხმებას რუსეთის სამშვიდობო ძალებისათვის მანდატის 1997 წლის 31 დეკემბრამდე გაგრძელების შესახებ.

„ახლავე შეიძლებოდა რუსეთის სამშვიდობო ძალების მისიის შეწყვეტა, მაგრამ აუცილებელია გარკვეული გარდამავალი პერიოდი, - უთხრა პრაიმ-ნიუსს ნიკო ლეკიშვილმა.

სამიტმა დააფიქსირა, რომ გალის რაიონის ყოფილ საზღვრებში მიმდინარე წლის ბოლომდე დარჩენილ პერიოდში უნდა დაიწყოს ლტოლვილთა დაბრუნება და მხოლოდ ამის განხორციელების შემდეგ შეიძლება საუბარი აფხაზეთის ეკონომიკურ აღორძინებაზე, - აღნიშნა სახელმწიფო მინისტრმა. მისი თქმით, საქართველო არ დაეთანხმა ლტოლვილთა დაბრუნებისა და ეკონომიკის აღორძინების პარალელურად განხორციელების წინადადებას.

საქართველო დაჟინებით მოითხოვს გალის რაიონში ლტოლვილთა დაბრუნების პროცესის დაუყოვნებელ დაწყებას სამშვიდობო ძალების მხრიდან უსაფრთხოების გარანტიების უზრუნველყოფით, რაც, ლეკიშვილის თქმით, კერძოდ, სამშვიდობო ძალების შტაბის გალის რაიონში გადატანას ითვალისწინებს.

ლეკიშვილმა პრაიმ-ნიუსს უთხრა, რომ რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა მხარი დაუჭირა საქართველოს პოზიციას იმისდა მიუხედავად, რომ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ აფხაზეთის ეკონომიკის აღორძინების საკითხი წამოწია.

სახელმწიფო მინისტრი თვლის, რომ აღნიშნულ საკითხში საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების პოზიციები ერთმანეთს ემთხვევა, თუმცა რუსეთში შემდეგ მრავალი წინადადებების ბლოკირება ხდება „გაცილებით დაბალ დონეზე".

საქართველომ მწვავედ დააყენა საკითხი იმის შესახებ, რომ რუსეთ-საქართველოს ორმხრივი ურთიერთობები არასაკმარისად ეფექტურია სწორედ მოსკოვის ინერტულობის გამო, თქვა ლეკიშვილმა. სახელმწიფო მინისტრის აზრით, დსთ-ში მრავალი არასამთავრობო სტრუქტურის შექმნა მხოლოდ თანამეგობრობის იდეის დისკრედიტაციას ახდენს, რომლის ბიუროკრატიული აპარატი მრავალი ინიციატივის განხორციელებას უშლის ხელს.

ვნახოთ, შეასრულებს თუ არა კიშინიოვის სამიტზე მიღებულ გადაწყვეტილებებს რუსეთი და დსთ, - თქვა ლეკიშვილმა. მისი თქმით, დღემდე არაფერი სრულდებოდა, ასე რომ - ეს პერიოდი ეფექტურობის გამომჟღავნების უკანასკნელი შანსია. (პრაიმ-ნიუსი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზვიად გამსახურდია ჯალათებს ემსხვერპლა, გუგუშვილი კი გაპონივით გაქვრა



**მეორე გვერდიდან**

თვითონვე მოიკლა თავი აი, რისთვის ჰყავს შემონახული ჩვენს ხელისუფლებას ბატონი ბესარიონი!

სხვათა შორის, დიდ გაკვირვებას იწვევს ზოგიერთი ჟურნალისტისა და თვით ზოგი ეროვნული პარტიის ლიდერის ესოდენი გულუბრყვილო მიდგომა ზვიადის დაღუპვის საკითხთან მიმართებაში. ისინი წყალგაუვალ დოკუმენტად მიიჩნევენ გუგუშვილის ჩვენებებს გამსახურდიას თვითმკვლელობის შესახებ იმ მოტივით, რომ პრეზიდენტის დაღუპვის მომენტში ის იყო მის გვერდში, ის იყო ამ ფაქტის ცოცხალი მოწმე და აბა, ვის უნდა დავუჯეროთ, თუ არა მას? მაგრამ იმას კი აღარ კითხულობენ – რამდენად სარწმუნო შეიძლება იყოს წალენჯიხის ტყეებში ტერორგამოვლილი კაცის ჩვენებები, როცა იგი დღესაც არაა გარანტირებული, რომ მას ტყვიას არ დაახლიან შუბლში იქ შეგზავნილი მკვლელები, თუ მან კვლავაც არ დაადასტურა ტერორის ქვეშ გამოძალული ჩვენებები?

ბატონ ბესარიონს მისივე ჩვენებიდან გამომდინარე ვეკითხებით: „გრუპა ზახვატა“ რომ მოგდევდათ დასატყვევებლად, ბოლოს და ბოლოს დაგესხნენ თუ არა თავს? ეგებ გეთხრას, მოგედევდნენ, მაგრამ მერე აორთქლდნენო! ანდა, ბატონი ბესარიონი პრეზიდენტის ერთგულ კაცად რომ აცხადებს თავს, ეს შეატოვა მის თვალწინ დაღუპული პრეზიდენტის ნეშტი, თუ იგი არ აიძულა „გრუპა ზახვატამ“, რომ გასცლოდა საქართველოს გარკვეული პირობის ფასად? საერთოდ, რატომ არაფერს გვეუბნება – თავად, თვითონ როგორ დააღწია თავი ფეხდაფეხ მდევნელ ტერორისტებს? რატომ დუმს იგი ამ უაღრესად მნიშვნელოვანი დეტალის ირგვლივ? საერთოდ, საოცარია ბატონი ბესოს წინააღმდეგობებით აღსავსე განმარტებები, რომელსაც იგი იძლევა კორესპონდენტთან საუბარში. იგი, ერთის მხრივ, იმას გვიმტკიცებს, რომ ფაქტობრივი ხელისუფლების მიერ „გრუპა ზახვატა“ იყო შექმნილი, რომ ცოცხალი ან მკვდარი დაეტყვევებინეთო. შემდეგ კი აეიწყდება საკუთარი განაცხადი და კორესპონდენტის კითხვაზე – „დაჟინებით რატომ არ მოსთხოვეთ გამსახურდიას საქართველოდან წასვლაო?“ – იგი პასუხობს: „პრეზიდენტს ვუთხარი, წამო, ზვიად, ისევ გროზნოში წავიდეთ-მეთქი. მან კი მიპასუხა: „...საქართველოში იმისათვის წამოვედი, რომ ვიბრძოლო და აქ დავიღუპოო“. რა გამოდის? თვით ბესარიონ გუგუშვილის განცხადებით – მილიონ დოლარად შეფასებული ზვიადის და 250 ათას დოლარად შეფასებული ბესოს შეპყრობა არსებულ ხელისუფლებას გადაუფიქრებია, „გრუპა ზახვატაც“ სადღაც გამქრალა, ქვეყნის ფაქტობრივ მეთაურს – ედუარდ შევარდნაძეს, ნაცვლად იმისა, რომ ხელისუფლებისათვის მებრძოლი მეტოქე გზიდან ჩამოეცილებინა, მისთვის საქართველოდან გასასვლელ გზებზე ხალიჩები დაუფენია, მაგრამ ზვიად გამსახურდიას, ნაცვლად იმისა, რომ საქართველოდან თავი გაეღწია და კვლავ ბრძოლა გაეგრძელებინა, პესიმისტურ აფექტში ჩავარდნილა და გარედან ყოველგვარი თავდასხმის გარეშე, თვითვე, თავისით მოუკლავს თავი. რისი თქმა უნდა ამ ზღაპრებით ბატონ ბესოს? დაარწმუნოს ქართველი ხალხი, რომ ზვიად გამსახურდიას არავითარი პრობლემა არ ჰქონია თურმე საქართველოდან გასასვლელად, არც არავინ დადევნებია მას მოსაკლავად, არამედ მას თავი თვითონვე მოუკლავს და ამდენად, შევარდნაძე და მისი ხელისუფლება ზვიად გამსახურდიას მიმართ ბატკნებივით უცოდველები არიანო! ერთი სიტყვით, ბატონ ბესოს წარმოუდგენია, რომ შიმშილისაგან დაოსებულ ქართველებს აზროვნების უნარიც წართმეული ექნებათო და რასაც ვიტყვი, ყველაფერს დამიჯერებენო. არადა, ისმის კითხვა: თუკი ბატონ ზვიადს თავის მოკვლა უნდოდა, და არა ფეხდაფეხ მდევნელი სპეცსამსახურებისაგან თავის დაღწევა, მაშინ, ბატონი ბესოს თქმითვე – ტყე-ღრეში ხეტიალით რაღას ეწამებოდა და იმ სიცივე-ყიამათში ორჯერ რაღაზე გადალახა მდინარე ენგური?! ანდა, თუ ეს ზვიადის სიტყვებია – „აქ უნდა ვიბრძოლო და აქ დავიღუპოო“ – რა ბრძოლაა თავის მოკვლა? რა შესძინა მან საქართველოს თავის მოკვლით? ამგვარად, გუგუშვილის მტკიცება, რომ პრეზიდენტმა თავი თვითონვე მოიკლაო, არავითარ ლოგიკას არ ექვემდებარება. პირიქით, ბატონი გუგუშვილისაგან ამის მტკიცება დიდი მკრეხელობაა, რადგან დადგება დღე, როცა ქართველი ერი ზვიად გამსახურდიას, როგორც სახელოვან ეროვნულ მოღვაწეს და სამშობლოს სიკეთისათვის წამებულს – წმინდანად აღიარებს, მაგრამ ბატონი ბესარიონი, რომელიც ამჟამად, ჩემი ღრმა რწმენით, „სუკი“-ს დავალებით მოქმედებს, ართმევს ამის აღსრულებას ქართულ ეკლესიას ზვიადის მიმართ თვითმკვლელობის ბრალდებით.

ახლა უყურეთ ბატონი ბესარიონის გაკადნიერებას. იმის მაგიერ, რომ ამდენ უპასუხისმგებლო და ულოგიკო ინტერვიუებზე თავი მაინც შეიკავოს და თავისი წინა განცხადებით დაკმაყოფილდეს – „დღევანდელი ხელისუფლების პირობებში სახელმწიფო საიდუმლოების გაცემა დაუშვებლად მიმაჩნიაო“, რაც ნაწილობრივ მაინც გაამართლებდა შიშით გამოწვეული დუმილის მიზეზს, იგი აქეთ გვედავება პრეზიდენტის მკვლელობის დამდგენი საზოგადოებრივი საგამოძიებო კომისიის შექმნისათვის: „ახლა რომ პრეზიდენტის სიკვდილის გარემოებების დამდგენი რაღაც კომისია შეიქმნა, რომელ გარემოებებს იძიებენ – კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან შემდგარი კომისიის მიერ რომაა უკვე გამოძიებული?“ იგი ამას აკონკრეტებს კორესპონდენტისათვის მიცემულ მეორე ინტერვიუში და უფრო მეტი ნიშნისგებით გვეუბნება: „ახლა რომ ვიღაცეები“ კომისიებს ქმნიან... შეიკრიბება ორი-ოთხი კაცი და კომისიას დაარქმევენ.. ოთხი წლის შემდეგ გაახსენდათ გამსახურდია? – ახლა იჭრიან ვენებსო?

ბატონო ბესო, ჯერ ერთი, რომელი კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან შემდგარ კომისიაზე მიგვითითებთ, არ გვესმის, რადგან ასეთი კომისიის არსებობაზეც კი არავის სმენია. ხოლო, თუ ეს კომისია უჩინმაჩინის ქუდით დაიარებოდა, ვგონებ, ისიც თქვენს ჩვენებებს დაეყრდნო ისევე, როგორც თქვენს ჩვენებებს ეყრდნობა ფაქტობრივი ხელისუფლების მიერ შემდგარი კომისია. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს უნდა გაიგოთ, ბატონო ბესო, რომ ქართველ საზოგადოებრიობას არ სჯერა თქვენი ჩვენებებისა, რადგან იგი ყალბია.

მეორე. ჩვენი კომისია „2-4 კაცისაგან“ კი არ შედგება, არამედ რამოდენიმე ათეულ წევრს მოიცავს, თანაც „ვიღაცეებისაგან“ კი არ შედგება ეს კომისია, არამედ საკმაოდ კომპეტენტური პირებისაგან – იურისტების, ისტორიკოსების, ჟურნალისტებისა და სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისაგან, სადაც აგრეთვე გაერთიანებული არიან ის პირები სამეგრელოდან, ვინც თავად შეესწრო პრეზიდენტის დევნას და თვითონაც განიცადა რეპრესიები პრეზიდენტის შეფარებისთვის.

მესამე. არ მესმის, რატომ უნდა იყოს უკმაყოფილო ბატონი ბესარიონი, ან უფრო სწორად, რატომ უნდა ეშინოდეს მას პრეზიდენტის დაღუპვის რეალური მიზეზების დამდგენი ნებისმიერი კომისიის შექმნისა, თუ იგი პირმართალია თავისი ჩვენებებით ჯერ ზვიადის სულის წინაშე და შემდეგ ქართველი ერის წინაშე? უნდა ვიფიქროთ, რომ მას სიმართლის გამჟღავნებისა ეშინია!

მეოთხე. ბატონი ბესარიონი დანაშაულად გვითვლის ჯერ იმას, რომ მისი დასტურის გარეშე შევქმენით საქართველოს პირველი პრეზიდენტის დაღუპვის მიზეზების გამოსაძიებელი კომისია, და მეორე – ჩემს ჩვენებებზე დაყრდნობით ხომ არის უკვე ეს საქმე გამოძიებული და რაღა საჭიროა კიდევ ახალი კომისიების შექმნაო?! მესამე დანაშაულად კი იმას გვითვლის, რომ მისი აზრით, 4 წელი პრეზიდენტის დაღუპვიდან უკვე მოძველებული საქმე ყოფილა თურმე, რაზედაც ასე გვსაყვედურობს: 4 წლის შემდეგ გაახსენდათ გამსახურდიაო? აქამდე სად იყვნენო? რატომ მაშინ არავის გაახსენდა პრეზიდენტი, სამი თვე დაკარგული რომ იყო და ტყე-ღრეში დავეხეტებოდითო?

შევეცდებით ბატონ ბესარიონს ვუპასუხოთ თანმიმდევრობით: ბატონო ბესო! უპირველესი დანაშაული პრეზიდენტის წინაშე თქვენგან მომდინარეობს. თქვენ ხომ თავად ადასტურებთ გაზეთ „ალიასათვის“ მიცემულ ინტერვიუში, რომ „ლოთი ქობალიას სამასი შეიარაღებული ჯარისკაცი, ერთი გაფუჭებული ტანკი და ორი „უპუშკა“ „ბეტეერი“ შესაშინებლად თუ გამოადგებოდაო“. მერედა, ამ ძალის იმედით იწვევდით პრეზიდენტს საქართველოში? ამ ყოვლად უსუსურ ძალებზე დაყრდნობით უმტკიცებდით პრეზიდენტს, რომ „ყველაფერი გაგვაჩნია ხუნტაზე იერიშის მისატანადო?! რა იყო ეს, თუ არა აშკარა ღალატი, ან უგუნურება პრეზიდენტის მიმართ, ვინც საქართველოში მის ჩამოყვანას თაოსნობდით? როგორც კი სამთავრობო ტელევიზიით მოვისმინეთ ჩვენ, რიგითმა ადამიანებმა, ზვიადის ზუგდიდში ჩამოსვლის ამბავი, მაშინვე დავასკვენით, რომ იგი აქედან ცოცხალი ვეღარ გაიღწევდა. რაო, თუკი ეს ელემენტარული ჭეშმარიტება ესმოდა ყოველ რიგით ქართველს, თქვენ არ გესმოდათ, „უმაღლესი დონის პოლიტიკოსებს?!“

ბატონო ბესო, თქვენ 4 წელი პრეზიდენტის დაღუპვიდან იმიტომ გეჩვენებათ ხანდაზმულად, რომ, ეტყობა, თქვენ არ მოგეხსენებათ, რომ დღესაც – საუკუნის დასასრულს, კვლავაც გრძელდება ძიება დიდი ილიას მკვლელობის ფაქტის დასადგენად. და იცით რა გაირკვა საუკუნის ძიების შემდეგ? თურმე, 70 წლის მანძილზე კომუნისტური ხელისუფლება რომ გვიმტკიცებდა – ილია მეფის ოხრანკამ მოკლაო, დადგინდა, რომ ილიას მკვლელები თვით ქართველი კომუნისტები, ანუ მესამედასელები ყოფილან. ამიტომ, რა გარანტიაა, რომ დღესაც, პრეზიდენტის მკვლელობის ირგვლივ, თქვენი ვერსიის მიმართ სრულიად საწინააღმდეგო ვერსია არ დადასტურდეს? აქედან გამომდინარე, საგამოძიებო კომისიის უგულებელყოფით, რატომ აღძრავთ ეჭვს თქვენს საწინააღმდეგოდ – თუ იგი პირმართალია თავის მტკიცებებში, პრეზიდენტის თვითმკვლელობის ირგვლივ, კუჭი რატომ ეწვის ახალი გამოძიებებითო? და იცით, თქვენი ასეთი პოზიციის გამო რა ხმები ვრცელდება საზოგადოებაში? ეს მკვლელობა პრეზიდენტის გვერდში მყოფმა ბატონმა ბესომ თავად ხომ არ ჩაიდინა სპეცსამსახურის დავალებით სიცოცხლის შენარჩუნების გარანტიითო? ვინ იცის, მსოფლიო ისტორიაში რამდენია ასეთი მაგალითები! ასეა თუ ისე, ყველამ უნდა იცოდეს და მათ შორის ბატონმა ბესარიონმაც, რომ ადრე თუ გვიან პრეზიდენტის მკვლელობა ისეთივე სიმართლით დადგინდება, როგორც დადგინდა ილიას მკვლელობა.

დაბოლოს, ბატონი ბესარიონი ბრალს გვდებს დევნილი პრეზიდენტის მიმართ უყურადღებობაში – „აქამდე სად იყვნენ? სამი თვე რომ დაკარგული იყო პრეზიდენტი, ვინმემ მოიკითხაო?“ გიპასუხებთ: ბატონო ბესო, ამ შემთხვევაშიც, ამჟამინდელი კომისია და ქართველი ერი კი არ უნდა დაადანაშაულოთ, ვისაც არსებული ტირანიის პირობებში არავითარი ინფორმაცია არ გააჩნდა, თუ სად იმყოფებოდა მოწვეული რუსული საჯარისო კონტინგენტებისა და სპეცსამსახურების მიერ დევნილი პრეზიდენტი, არამედ ის პირები, თქვენი ჩათვლით, ვინც პრეზიდენტი საქართველოში ჩამოიყვანა. ამიტომ საკითხი აი, როგორ უნდა დასვათ: სად გაქრა ზვიადის გაჭირვების ჟამს მისი ჩამომყვანი უზენაესი საბჭოს ხელმძღვანელობა? ანდა, რას აკეთებს იგი დღეს?

ბატონო ბესო! ერთი რამ უნდა იცოდეთ თქვენც და სხვებმაც, ვინც ჩვენს კომისიას უპირისპირდება: ჩვენ დღესვე რომ დავშალოთ ჩვენი კომისია და შევწყვიტოთ გამოძიება თქვენი სურვილის თანახმად, სულერთია, მას სხვები გააგრძელებენ, თუნდ მთელი საუკუნის მანძილზე და ჭეშმარიტება მაინც დადგინდება ყოველ შემთხვევაში, თქვენს ვერსიას არავინ გაიზიარებს, რადგან ჩეჩნეთის სამედიცინო ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ტყვია პრეზიდენტს ქვემოდან ზემოთ კი არა აქვს ნასროლი თავში, როგორც ეს ხდება ხოლმე თვითმკვლელობის შემთხვევაში, არამედ – ზემოდან ქვემოთ. ისე რომ, უნდა ელოდენ განკითხვის დღეს პრეზიდენტის მკვლელობის ორგანიზატორებიც, მათი ხელის შემწყობებიც და ისიც, ვინც ეს მკვლელობა აღასრულა პირადი უვნებლობის ფასად.

**მიხეილ მჭედლიშვილი,**
საქართველოს პირველი პრეზიდენტის – ზვიად გამსახურდიას მკვლელობის დამდგენი საზოგადოებრივი საგამოძიებო კომისიის წევრი

## იემენში მძევლად რუსეთის მოქალაქეები აიყვანეს

ორი დღის წინ იემენში შეიარაღებულმა პირებმა მძევლად აიყვანეს ამ ქვეყანაში ხელშეკრულებით მომუშავე რუსეთის ორი მოქალაქე. გამტაცებლებმა მთავრობას განუცხადეს, რომ მძევლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში გაათავისუფლებენ, როცა მთავრობა დასჯის იმ დამნაშავეებს, რომლებმაც ალ-ჰადას თემის 13 წლის ბიჭი გააუპატიურეს.

დამკვირვებლები აღნიშნავენ, რომ იემენის მკვიდრი თემები ხშირად იყენებენ პრაქტიკაში უცხოელი მძევლების გატაცებას, რათა მთავრობაზე საკუთარი მოთხოვნების შესრულებისათვის ზეგავლენა იქონიონ. (ბეა)

## საკადრო ცვლილებები ჩეჩნეთის მთავრობაში

სამხრეთის ნავთობკომპანიის ყოფილი პრეზიდენტი ხოჯახმედ იარიხანოვი, შესაძლოა, უახლოეს მომავალში ჩეჩნეთის მთავრობის პირველ ვიცე-პრემიერად დაინიშნოს.

პირველი ვიცე-პრემიერის თანამდებობა ვაკანტური გახდა მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა ასლან მასხადოვმა ამ თანამდებობიდან გაათავისუფლა მუსა დოშუკაევი, რომელიც ეკონომიკის საკითხებს განაგებდა. დოშუკაევთან ერთად პრეზიდენტმა თანამდებობიდან გაათავისუფლა კიდევ რამდენიმე სახელმწიფო ჩინოვნიკი, ხოლო იარიხანოვმა თანამდებობა დაკარგა იმასთან დაკავშირებით, რომ პრეზიდენტის განკარგულებით სამხრეთის ნავთობკომპანია 4 სახელმწიფო კონცერნად გადაკეთდა, რომლის ხელმძღვანელებიც პირადად ასლან მასხადოვს ექვემდებარებიან. (ბეა)

## „მერსედესი“ კრიზისს განიცდის

კონცერნი „მერსედეს ბენცი“, რომელსაც გერმანიაში მწარმოებელ ფირმათა შორის ლიდერის ადგილი ეკავა, ბოლო დროს გარკვეულ სირთულეებს განიცდის.

მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ უიღბლო შემთხვევები, რომლებიც გერმანიის ინდუსტრიის ფლაგმანს თან სდევს, გავლენას იქონიებს არამარტო მის იმიჯზე, არამედ მთლიანად გერმანული წარმოების საქონლის პრესტიჟზე. სუპერთანამედროვე ძრავა, რომელზეც კონცერნი ბოლო წლების განმავლობაში ინტენსიურად მუშაობდა და დაახარჯა ათეულობით მილიონი დოლარი, ექსპერტებმა არაეკონომიურად და ეკოლოგიურად საშიშად აღიარეს, რის გამოც საბოლოო დასკვნაში ძრავა წარმოებისათვის უვარგისად იქნა ცნობილი. გარდა ამისა, მერსედესის ახალი მოდელი, რომლის გამოცდაზეც მიწვეულნი იყვნენ ექსპერტები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან, ავარიაში მოჰყვა ძარაში არსებული ნაკლოვანებების გამო. ავარიის შედეგად რამდენიმე ექსპერტი დაშავდა. დამკვირვებლები აღნიშნავენ, რომ ასეთმა ნეგატიურმა მომენტებმა უკვე გავლენა იქონიეს „მერსედესის“ გაყიდვის დონეზე, რომელიც თანდათანობით მცირდება. (ბეა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უკრაინელებთან ერთად ჩვენი უშიშროება უფრო უშიშარი გახდება

საქართველოსა და უკრაინის სახელმწიფო უშიშროების სამსახურებს შორის თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერა 29 ოქტომბრისთვისაა დაგეგმილი, უკრაინის პრეზიდენტის ლეონიდ კუჩმას საქართველოში ვიზიტის პროგრამის ფარგლებში, - აცნობეს პრაიმ-ნიუსს საქართველოს უშიშროების სამინისტროს პრეს-სამსახურში.

საქართველოს არც ერთ ქვეყანასთან არ გააჩნია ისეთი სახელშეკრულებო სამართლებრივი ბაზა, როგორიც უკრაინასთან - უკვე 80 შეთანხმებაა ხელმოწერილი.

ხელშეკრულების პროექტი მჭიდრო თანამშრომლობას ითვალისწინებს, ითქვა საქართველოს უშიშროების მინისტრის ჯემალ გახოკიძისა და უკრაინის საქართველოს საქმეებში დროებითი რწმუნებულის ალექსანდრე სამოილენკოს შეხვედრაზე.

უკრაინის დელეგაციის შემადგენლობაში, რომელიც თვის ბოლოს ჩამოვა საქართველოში, შედის უკრაინის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის თავმჯდომარე ვლადიმერ რადჩენკო, - იუწყება უშიშროების სამინისტროს პრეს-სამსახური. (პრაიმ-ნიუსი)

## საქართველომ რუსეთი და დსთ არ უნდა გაანაწყენოს

კიშინიოვის სამიტის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავ-რემ კახა ჩიტაიამ „იფრინდა"-სთან საუბარში განაცხადა, რომ საქართველოს თვითმიზანი არ არის რუსეთის სამშვიდობო ძალების გაძევება კონფლიქტის ზონიდან. მთავარ მიზნად იგი მიიჩნევს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, ლტოლვილების დაბრუნებას და კონფლიქტის საბოლოო დარეგულირებას. მისი თქმით, საქართველოს პარლამენტის 30 მაისის ცნობილი გადაწყვეტილება ნათლად გამოხატავდა სამშვიდობო ძალების მიმართ უარყოფით პოზიციას. ამან, მისი თქმით, საკმაოდ იმუშავა იმ თვალსაზრისით, რომ რუსეთის პოლიტიკური წრეებისა და მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება განსაკუთრებით გაამახვილა კონფლიქტის დროულ დარეგულირებაზე. მართალია რთულად, მაგრამ აღდგა ჟენევის მოლაპარაკებების პროცესი.

კ.ჩიტაიას აზრით, ამ მიმართებით მკვეთრი მოქმედებები არ შეიძლება დადებითი შედეგის მომტანი იყოს. იგი თვლის, რომ დსთ-ს არც ერთი წევრი ქვეყანა და მათ შორის რუსეთი არ არის კმაყოფილი დსთ-ს საქმიანობით, მაგრამ მიაჩნია, რომ საქართველო არ უნდა გახდეს დსთ-ს დაშლის გლობალური პროცესის ინიციატორი. „თუ არ მოგვწონს ესა თუ ის გადაწყვეტილება, შეგვიძლია დავბლოკოთ, არ მივიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილებანი, მაგრამ იგივე დსთ ჩვენთვის სასარგებლო არის და უფრო მეტად სასარგებლო გახდება ეკონომიკური ბაზრის თვალსაზრისით" - განუცხადა კ.ჩიტაიამ „იფრინდა"-ს. მისთვის გასაგებია ოპოზიციის აღელვება, როგორც სამიტის გადაწყვეტილების, ისე დსთ-ს არასაკმარისი მუშაობის გამო, მაგრამ დარწმუნებულია, რომ ყოველ ნაბიჯს შორს გამიზნული პოლიტიკური გააზრება სჭირდება, რომლის დროსაც მხოლოდ სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე უნდა იხელმძღვანელოს. (იფრინდა)

# თელავის ტყეებს თურქები შეესიენ...

ამას წინათ თელავის რაიონის სოფელ ფშაველში მოგვიწია ყოფნა. კახეთის ამ შესანიშნავ სოფელს დასავლეთის და ჩრდილოეთის მხრიდან გარს ერტყმის მთები, საიდანაც ამაყად გადმოჰყურებს წმინდა გიორგის ეკლესია. აღნიშნული სოფლის საკრებულოში შედის კიდევ ორი სოფელი - ლალისყური და ლეჩური. ფშაველის შორიახლოს ჩამოედინება მდინარე სტორი. აქვე განლაგებულია ტყის მასივი, რომლითაც ზამთრის პერიოდში სარგებლობს აღნიშნული სოფლების მოსახლეობა. მიმდინარე წლის ზაფხულში, სრულიად მოულოდნელად, სოფლის ტყეებს შეესია უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ჯგუფი. როგორც შემდეგ გაირკვა, ისინი იყვნენ თურქეთის მოქალაქეები, რომელთაც ჰქონდათ ნებართვა ხელშეკრულების სახით, რათა გაეჩეხათ და თავიანთ ქვეყანაში გაეტანათ 6 ათასი კუბ.მეტრი ხე-ტყის მასალა. მათ სოფლის გამგებლის მონაწილეობით ვიდეო ფირზე დააფიქსირეს 3 ათასი კუბ.მეტრი ხე-ტყის გაჩეხის და ტრანსპორტით გატანის ფაქტი, იმ იმედით, რომ სათანადო ორგანოები მასზე სამართლიან რეაგირებას მოახდენდნენ. პირველად მათ მიმართეს რაიონის გამგებელს მედეა მეზვრიშვილს. თელავის რაიონის გამგებელმა ნაცვლად იმისა, რომ სამართლიანი რეაგირება მოეხდინა ამ აღმაშფოთებელ ფაქტზე, რამოდენიმე დღის შემდეგ სასწრაფოდ გაანთავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან ფშაველის საკრებულოს გამგებელი, ვითომ იმ საბაბით, რომ იგი მოსახლეობისგან მიწის გადასახადებს ვერ აგროვებდა, მაშინ, როდესაც რეალურად, ამ მხრივ არა მარტო თელავის რაიონში, არამედ მთელ საქართველოში მძიმე მდგომარეობაა იმ მიზეზის გამო, რომ გაღატაკებულ და დამშეულ მოსახლეობას ფული საერთოდ არ გააჩნია. ამის შემდეგ, სიმართლისა და კანონიერების მაძიებელმა სოფლის მოსახლეობამ რაიონის დეპუტატს დალი აბაშიძეს მიმართა, მაგრამ მან ხელები გაასავსავა, ვერ დაგეხმარებით (!?). სცადეს აღნიშნული ვიდეომასალის სხვა საშუალებით პარლამენტში შეგზავნა, მაგრამ ამაოდ.

დაკვირვებული მკითხველისათვის ყველაფერი ნათელია. სიმართლის მაძიებელი ფშაველელები დათრგუნულნი და გაოგნებულნი არიან. მათ აღშფოთებას კი საზღვარი არა აქვს. ისინი აცხადებენ, თუ დარჩენილი 3 ათასი კუბ. მეტრი ხე-ტყის გატანას თურქეთში კვლავ შეეცდებიან, მთელი სოფელი შეიარაღდება და არ მისცემს უცხო ქვეყანაში თავიანთი ეროვნული სიმდიდრის გატანის უფლებას. ყოველივე ზემოაღნიშნული იურიდიულად კვალიფიცირდება არა მხოლოდ როგორც დანაშაული, არამედ, როგორც ხალხისა და ქვეყნის ღალატი.

უნებურად გვახსენდება ცნობილი მწერლის ნიკო ლორთქიფანიძის მიერ საუკუნის დასაწყისში (1910 წ.) დაწერილი ტრაგიზმით აღსავსე პუბლიცისტური წერილი „იყიდება საქართველო", რომლითაც მწერალი საოცარი წინასწარმეტყველებითა და სიზუსტით ეხმიანება საქართველოს დღევანდელ გაუსაძლის და უმძიმეს ყოფას.

**მურმან მაჩხანელი,**
**ტარიელ ქართველიშვილი,**
**ნიკა შილდელი**

### ელენე თევდორაძე:
## მე არ დავუჭერ მხარს დავით სალარიძის კანდიდატურას სახალხო დამცველის თანამდებობაზე



პენიტენციალური სისტემისა და პატიმართა უფლებების დაცვის საპარლამენტო ქვეკომიტეტის თავმჯდომარე არ დაუჭერს მხარს საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის დავით სალარიძის კანდიდატურას სახალხო დამცველის თანამდებობაზე, რომელიც პრეზიდენტის მიერაა წარდგენილი.

სალარიძის კანდიდატურა პარლამენტმა მომავალ კვირაში უნდა განიხილოს. მანამდე, საქართველოს უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ ალექსანდრე კავსაძისა და გიორგი ხუციშვილის კანდიდატურები ჩააგდო სახალხო დამცველის თანამდებობაზე, რომლებიც, ასევე, პრეზიდენტის მიერ იყვნენ წარდგენილი.

ელენე თევდორაძემ პრაიმ-ნიუსს განუცხადა, რომ პირადად სალარიძესთან არაა უარყოფით დამოკიდებულებაში, მაგრამ მისთვის ისაა მიუღებელი, რომ კანდიდატურა „საგადასახადო დეპარტამენტის კორუმპირებული სტრუქტურიდანაა" წარმოდგენილი.

ელენე თევდორაძეს მიაჩნია, რომ სახალხო დამცველის ავტორიტეტი მოსახლეობაში შეუბღალავი უნდა იყოს. (პრაიმ-ნიუსი)

## თავისი ყმებიც დავუბრუნოთ

„საქართველოს კონსტიტუციის მიერ აღიარებული კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის პრინციპებიდან გამომდინარე, მოვითხოვთ - დაგვიბრუნდეს კანონიერ მემკვიდრეებს ყოფილი სამხრეთ ოსეთის ფარგლებში მოყოლილი ჩვენი წინაპრების კერძო საკუთრება (ყველანაირი სავარგულები, ტყეები, შენობა-ნაგებობები, საგვარეულო ეკლესიები, ციხე-სიმაგრეები და სხვა)" - ნათქვამია საქართველოს თავადაზნაურთა და მათ თანამდგომთა შიდა ქართლის სამხარეო ორგანიზაციის სასარჩელო განცხადებაში, რომლებსაც მოსარჩელეთა სახით, ხელს აწერენ ბაგრატიონები, მაჩაბლები, ერისთავები, ფავლენიშვილები, ფალავანდიშვილები, ამილახვრები, ამირეჯიბები, ხერხეულიძეები, წერეთლები და სხვანი.

როგორც „იფრინდა"-სათვის გახდა ცნობილი, ზემოთ დასახელებული გვარის წარმომადგენლები, როგორც პირდაპირი მემკვიდრეები, გულგრილნი ვერ დარჩებიან შიდა ქართლში მიმდინარე ანტიქართული პოლიტიკური პროცესის მიმართ. კერძოდ, იმ ფაქტის მიმართ, როდესაც „ხიზანი ტომი თავხედურად იტაცებს, ხელისუფლება კი მზად არის გააჩუქოს კონკრეტული პირების, კონკრეტული წინაპრების მიერ, საუკუნეების მანძილზე შრომით, მახვილითა და სისხლით შენარჩუნებული ტერიტორიები, რომლებიც ამჟამად მოხვედრილია ბოლშევიკების მიერ ხელოვნურად შექმნილი ე.წ. ყოფილი სამხრეთ ოსეთის ფარგლებში".

სარჩელის ავტორებმა განუცხადეს „იფრინდა"-ს, რომ მათ არ გააჩნიათ არავითარი პრეტენზია საქართველოს მოქალაქეთა პირად საკუთრებაში კანონიერად არსებულ არც ერთ გოჯ მიწაზე და, რომ მათი მოპასუხეა სახელმწიფო და არა რომელიმე პიროვნება.

იმ შემთხვევაში, თუ უგულვებელყოფილი იქნება მოსარჩელეთა მოთხოვნა, ისინი იბრძოლებენ ხელისუფლებისა და საერთაშორისო ინსტიტუტების ჩართვით, მათი პირადი, ანუ ქართველი ხალხის უფლებების აღდგენისათვის.

აღნიშნული სასარჩელო განცხადების ადრესატები არიან საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტი, უზენაესი სასამართლო, იუსტიციის სამინისტრო და საქართველოში ეუთო-ს მისია, რომელთაც აღნიშნული განცხადება საქართველოს პრეზიდენტისა და ლჩიბიროვის უახლოეს შეხვედრამდე გადაეცემათ. (იფრინდა)

## გაუჭირდება დივიდენდების გარეშე

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ახალი დებულება მოამზადა, რომელიც სახელმწიფოს წილს ეხება სააქციო საზოგადოებების დივიდენდების განაწილებაში, - აცნობა პრაიმ-ნიუსს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მოადგილემ მერაბ გაბუნიამ.ახალი დებულების შესაბამისად, სახელმწიფოს დივიდენდების კონტროლი და ამოღება საგადასახადო ინსპექციას დაევალა.

დღეისათვის სამინისტროსა და მისი ტერიტორიული ორგანოების მიერ 1072 სააქციო საზოგადოებაა დაფუძნებული, - თქვა გაბუნიამ. - აქედან 800-ის აქციების საკონტროლო პაკეტი კერძო საკუთრებაშია გაცემული. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, პრივატიზებულ საწარმოებში მოგების განაწილება და დივიდენდების გაცემა მესაკუთრის პრეროგატივაა. სახელმწიფოს საკუთრებაში დარჩენილი 250 სააქციო საზოგადოება სამრეწველო გიგანტებს მიეკუთვნება, რომლებიც დღეისათვის არ მუშაობენ და დივიდენდებზეც არ გვიწევს საუბარი". (პრაიმ-ნიუსი)

## ახლა რჩეულიშვილსაც მოუსმინეთ



წლის ბოლომდე დარჩენილი პერიოდი გვიჩვენებს - საქართველო დარჩება დსთ-ის შემადგენლობაში თუ არა, - თქვა პრაიმ-ნიუსთან საუბარში საქართველოს სოციალისტური პარტიის ლიდერმა, პარლამენტარმა ვახტანგ რჩეულიშვილმა, რუსეთის სამშვიდობო ძალებისთვის მანდატის გაგრძელების ფაქტის კომენტირებისას.

23 ოქტომბერს, კიშინიოვში დსთ-ის სახელმწიფო მეთაურთა სამიტზე მიაღწიეს შეთანხმებას ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო ძალებისათვის მანდატის მიმდინარე წლის ბოლომდე გაგრძელების შესახებ.

რჩეულიშვილის თქმით, კიშინიოვის სამიტზე დსთ-ს როლის და ვალდებულებების შესახებ სერიოზული კრიტიკით გამოვიდნენ ედუარდ შევარდნაძე და ჰეიდარ ალიევი.

საქართველოს სოციალისტური პარტიის ლიდერმა 22 ოქტომბერს, კიევში შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის წევრ სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების შეკრების დროსაც დასვა საკითხი დსთ-ის ეფექტურობისა და როლის შესახებ. (პრაიმ-ნიუსი)

## დუშანბეში კვლავ აფეთქება მოხდა

პარასკევს ტაჯიკეთის დედაქალაქ დუშანბეში მორიგი ტერაქტი მოხდა. ამჯერად საათის მექანიზმიანი ასაფეთქებელი მოწყობილობა დამონტაჟებული იყო ქალაქის ცენტრში, ეროვნულ ბანკთან დაყენებულ მსუბუქ ავტომობილში.

სამართალდამცავი ორგანოების მონაცემებით, აფეთქებას მსხვერპლი და ნგრევები არ მოჰყოლია. უკანასკნელი სამი კვირის განმავლობაში ეს უკვე მეთხუთმეტე აფეთქებაა. ტერაქტებთან დაკავშირებით აღძრული სისხლის სამართლის საქმეებიდან არც ერთი არ გახსნილა. აფეთქების ორგანიზატორები არ დაუპატიმრებიათ. (ბპა)

● რეპლიკა

# შეურაცხყოფა და ცილისწამებაც!

გაზეთ „საქართველოს“ 18-19 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა იაკობ ახუაშვილის წერილი – „ენციკლოპედიური პიროვნება“, რომელიც ვახუშტი ბაგრატიონის დაბადების 300 წლისთავის საიუბილეო დღეებს ეძღვნება; სამწუხაროდ, წერილის პირველ სვეტში შეურაცხყოფილია დამსახურებული პიროვნება (გვარის დაუსახელებლად) და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის კოლექტივი. ამონაწერი წერილიდან: *„წინამდებარე სტატიის დაწერის საბაბი შეიქმნა უნივერსიტეტში მოსმენილი ფრიად საინტერესო და შინაარსიანი მოხსენებების... შემდეგ გამართული კამათის დროს ერთ-ერთი მხცოვანი მეცნიერის, ყველა სამეცნიერო ხარისხის მქონე პიროვნების ხაზგასმით, გადაჭრით განცხადებამ იმის შესახებ, რომ ვახუშტი ბაგრატიონი თითქოს მხოლოდ და მხოლოდ ცნობილი გეოგრაფი იყო და მას ისტორიასთან ხელი არ მიუწვდებოდა. ეს შემცდარი იდეა (თუ მოსაზრება), როგორც შევიტყვე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის ზოგიერთი მეცნიერ-თანამშრომლის ძვალსა და რბილშიცაა ღრმად გამჯდარი“.*

ზემოთ მოტანილ ამონაწერში წამოყენებული ბრალდება სინამდვილეს არ შეეფერება; იგი მტკნარი სიცრუეა და მისი გაზეთში მოთავსება დემაგოგიური გამოხდომაა; არავითარი მსგავსი რამ სიმპოზიუმზე არ თქმულა; ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, როცა ჩანაწერი მოვისმინე. ჭორის დონეზე გავრცელებული აზრის საჯაროდ გამოტანა საკადრისი საქციელი არ არის. ვერც მეორე ბრალდებას დაამტკიცებს წერილის ავტორი, რამდენადაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში ერთ მეცნიერ-თანამშრომელსაც ვერ მოძებნის, რომელსაც „ძვალსა და რბილშიცა“ აქვს „ღრმად გამჯდარი“, „ეს შემცდარი იდეა (თუ მოსაზრება)“. ეს არის ინსტიტუტის კოლექტივის შეურაცხყოფა და ცილისწამებაც! ცხადია, ასეთი დემაგოგიური გამოხდომები ხელს შეუწყობს სხვადასხვა დარგის მეცნიერებს შორის შუღლის ჩამოგდებას.

იაკობ ახუაშვილის წერილის ამონაწერის გაგრძელება:

*„ამის დამადასტურებელ მაგალითად შორს წასვლა არ გვჭირდება. ვახუშტი ბაგრატიონის საიუბილეო დღეები კარგა ხანს თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის გვერდის ავლით მზადდებოდა და მხოლოდ მოსამზადებელი პერიოდის ბოლო დღეებში ჩაერთნენ ისტორიკოსები“.* წერილის ავტორის ეს განცხადებაც საფუძველს არის მოკლებული და საქმეში ჩაუხედავი, ჭორის დონეზე გაკეთებული დასკვნაა წარმოდგენილი. ჯერ ერთი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი თბილისში კი მდებარეობს, მაგრამ იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაშია; მეორეც, ივ.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ხელმძღვანელები და საიუბილეო კომიტეტის წევრები ამ ინსტიტუტიდან, ჯერ კიდევ საიუბილეო სამთავრობო კომიტეტის შექმნამდე (პრეზიდენტის ბრძანებულება №134, 30 იანვარი 1996 წ.) ღებულობდნენ მონაწილეობას მოსამზადებელ სამუშაოებში, ხოლო თითქმის ორი წელია, რაც საიუბილეო კომიტეტი არსებობს და ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის გარეშე არ ჩატარებულა არც ერთი საიუბილეო კომიტეტის სხდომა; ყველა საკითხის განხილვა მათ თვალწინ მიმდინარეობდა; ინსტიტუტის ისტორიკოსებმა მოამზადეს და გამოსცეს კრებული; ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს გეოგრაფიის“ კომენტარები ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ოთხი თანამშრომლის მონაწილეობით გაკეთდა, ხოლო ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს ატლასის“ სარედაქციო კოლეგიაში ამავე ინსტიტუტის თანამშრომელიც შედიოდა. დიდი ხნის წინ მზადდებოდა სიმპოზიუმის ერთობლივად მომზადება, რომელზეც გაცილებით მეტი იყო ისტორიკოსთა მოხსენებები; დაგეგმილი იყო ვახუშტი ბაგრატიონის ისტორიული ხასიათის ნაშრომების გამოცემა, რომელთა განხორციელება სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ მოხერხდა და სხვა. ბატონ იაკობ ახუაშვილს კი გვინდა შევახსენოთ, რომ ეს ღონისძიება არც ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის და არც გეოგრაფიის ინსტიტუტის არ გახლდათ; ეს იყო სამთავრობო დონეზე გადაწყვეტილი, იუნესკოს ეგიდით ჩატარებული ღონისძიება, რომლის ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემია და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

წერილის დანარჩენ საკითხებზე საუბარს აღარ გავაგრძელებ, აღვნიშნავ მხოლოდ იმას, რომ „ერთვნული აკადემიის აკადემიკოსს“ ასეთი ხასიათის ყურმოკრულ და ჭორის დონეზე გავრცელებული აზრების გაზეთში გადმოცემა არ ეკადრება, არაფერს ვამბობთ წერილში აღნიშნულ ზოგიერთ ვულგარულ გამონათქვამებზე.

**კობა ხარაძე**
**ვახუშტი ბაგრატიონის დაბადების 300 წლისთავის საიუბილეო კომიტეტის მდივანი, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი**

# მონოპოლიები ალკოჰოლზედა გვაკლდა



ევროპის სასამართლომ დაადასტურა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა უფლება, ამ ქვეყნების ტერიტორიაზე ალკოჰოლური სასმელების წარმოებასა და რეალიზაციაზე სახელმწიფო მონოპოლიის დაწესების შესახებ.

ევროპის სასამართლოს ერთდროულად მიმართა ალკოჰოლური პროდუქციის მწარმოებელმა რამდენიმე ფირმამ, რომლებსაც შვეციის ტერიტორიაზე თავიანთი პროდუქციის გაყიდვა აეკრძალათ. თავისი გადაწყვეტილებით სასამართლომ დაამტკიცა, რომ ასეთი მონოპოლიები ნებისმიერი სახელმწიფოს პრეროგატივას წარმოადგენენ და არავის უფლებებს არ არღვევენ. მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ ასეთი სასამართლო გადაწყვეტილების შემდეგ, შესაძლოა, ევროკავშირის ქვეყნების უმრავლესობამ ასევე დააწესონ მონოპოლიები ალკოჰოლურ პროდუქციაზე, რათა ბიუჯეტში დამატებითი შემოსავალი მიიღონ. (გეა)

# ხარაზის განცხადება დიდი ხანია იგეგმებოდა

პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის, ედვარდ სურმანიძის განცხადებით, ბათუმის ყოფილი მერის, თამაზ ხარაზის მიერ გაკეთებული განცხადება და მის შემდგომ ატეხილი აჟიოტაჟი სექტემბრის დასაწყისში უნდა მომხდარიყო.

ეს ყველაფერი, მისი თქმით, დიდი ხანია იგეგმებოდა, ჯერ კიდევ სანამ საპარლამენტო ფრაქცია „აღორძინება“ გაიყოფოდა. სკანდალმა თვენახევრით რომ „დაიგვიანა“, ამის მიზეზად სურმანიძემ სწორედ ფრაქციიდან დეპუტატების ნაწილის წამოსვლა დაასახელა.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუროკრატიული აპარატი უზარმაზარი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ იმყოფება“ – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, ედვარდ სურმანიძემ. მისი თქმით, ბათუმის ყოფილმა მერმა, თამაზ ხარაზმა ასლან აბაშიძეს იმ პირთა სია გადასცა, რომლებიც მის წინააღმდეგ დაგეგმილ „შეთქმულებაში“ მონაწილეობდნენ. გვარები უცნობია. ერთადერთი, რაც ცნობილია, ის არის, რომ სიაში ადგილობრივი უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლებია შეტანილი.

„ეს სია ასლან აბაშიძესთან ინახება. არავინ იცის, ვინ არის მასში შეტანილი და ის პირები, რომელთაც აბაშიძის კრიტიკა არც კი დაესიზმრებათ, შეშინებულები არიან. დაშინებული ქვეშევრდომების მართვა კი საკმაოდ იოლია. არავინაა გარანტირებული, რომ უახლოეს მომავალში მის წინააღმდეგ არ ალაპარაკდებიან. ასე ნებისმიერზე შეიძლება ითქვას, რომ არა მარტო შეთქმულებაში იღებდა მონაწილეობას, არამედ საკუთარ სახლში იარაღის საწყობიც კი ჰქონდა“ – აღნიშნა ედვარდ სურმანიძემ.

1995 წლის ნოემბერში პარლამენტის წევრი, როსტომ დოლიძე ასლან აბაშიძის მიმართ ტერაქტის ორგანიზატორობაში იყო დადანაშაულებული, რასაც მაშინ პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, ედვარდ სურმანიძეც დაეთანხმა.

ამ ფაქტის კომენტირებისას მან აღნიშნა, რომ მისი გამოსვლა პრესაში არასწორად იქნა ინტერპრეტირებული. „მე გამომიყვანა ამ საკითხთან დაკავშირებით პარლამენტში ატეხილმა რეაქციამ. დეპუტატებს დაწყნარება და საქმის გონივრულად შესწავლა შევთავაზე. ჩემი პოზიცია ასეთი იყო: საშუალება მიგვეცა პროკურატურისთვის გარკვეულიყო საქმის ვითარებაში“ – განაცხადა ედვარდ სურმანიძემ. მისი თქმით, როსტომ დოლიძე მან კი არა აჭარის პროკურატურამ დაადანაშაულა. (გეა)

# თბილისობა – 97



ბ. აბაშიძის ნახატი

● წიგნის სამყარო

# ეკონომიკური თეორიის დამხმარე სახელმძღვანელო

საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტობამ ეკონომიკურ თეორიაში საინტერესო ორიგინალური სახელმძღვანელო მიიღო. ცნობილმა მეცნიერმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ლეო ჩიქავამ გამოაქვეყნა დამხმარე სახელმძღვანელო „ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი“. ეკონომიკისა და დემოგრაფიის პრობლემებისადმი მიძღვნილი ლეო ჩიქავას ნაშრომები გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ და ჩეხურ ენებზე. მის ყოველ ნაშრომს მკითხველი საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით ელის. ახალ სახელმძღვანელოში მაღალი პედაგოგიური ოსტატობით არის გადმოცემული თეორიული დებულებები, მასში მკითხველი იპოვის პასუხს საქართველოსათვის მრავალ სადღეისო მწვავე პრობლემაზე. იგი შეიცავს 16 თავს. თითოეულ თავს ერთვის რეზიუმე, კითხვები თვითკონტროლისათვის და ლიტერატურა.

დამხმარე სახელმძღვანელო თავისი სტრუქტურით დიდად განსხვავდება ბოლო პერიოდში ქართულ ენაზე გამოქვეყნებული ანალოგიური ნაშრომებისაგან. თეორიული საკითხების არსში ღრმად ჩაწვდომისა და უკეთ გარკვევის მიზნით, მასში მოყვანილია ფაქტობრივი მონაცემები და კონკრეტული ცხოვრებისეული მაგალითები. ცალკეული პრობლემების გაშუქებისას დაფიქსირებულია ავტორისეული პოზიცია, რაც ყოველთვის არ ემთხვევა სხვა სპეციალისტების შეხედულებებს. ეს არათუ არ ამცირებს, არამედ კიდევ უფრო ზრდის ამ ნაშრომისადმი ინტერესს და ორიგინალურობის კვალსაც ამჩნევს მას.

სახელმძღვანელოში ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის თანამედროვე მიღწევების საფუძველზე განხილულია ეკონომიკური თეორიის საგანი და მეთოდი, მისი ადგილი და როლი ეკონომიკურ მეცნიერებათა სისტემაში; ნაჩვენებია საბაზრო ეკონომიკის იდეალური მოდელი და რეალურად ფუნქციონირებადი, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა. წიგნში თვალსაჩინო ადგილი ეთმობა მოთხოვნისა და მიწოდების კანონებსა და ფასწარმოქმნას; წინა პლანზეა წამოწეული მომხმარებლის როლი საბაზრო ეკონომიკაში; გაშუქებულია ბიზნესის არსი, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები და ფინანსური უზრუნველყოფის, მარკეტინგისა და მენეჯმენტის საკითხები; გაანალიზებულია ფულად-საკრედიტო და ფინანსურ-საგადასახადო სისტემები, უმუშევრობისა და ინფლაციის პრობლემები, ცხოვრების დონე და მისი სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლები.

დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის, მაგრამ იგი ასევე დიდ სამსახურს გაუწევს თანამედროვე ეკონომიკური თეორიით დაინტერესებულ ყველა მკითხველს.

**შოთა თეთვაძე,**
**ომარ შურღაია**

## საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის ყოფილმა უფროსმა რემი ვაშაკიძემ შიმშილობა გამოაცხადა

საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის ყოფილმა უფროსმა რემი ვაშაკიძემ, რომელიც საქართველოს საგამოძიებო იზოლატორში იმყოფება, შიმშილობა გამოაცხადა, – აცნობა პრაიმ-ნიუსს ბრალდებულის ადვოკატმა ქართლოს ღარიბაშვილმა.

რემი ვაშაკიძე გასულ წელს დააპატიმრეს და მისი სასამართლო პროცესი მიმდინარე წლის მაისში დაიწყო. რკინიგზის დეპარტამენტის ყოფილ უფროსს ბრალი ედება განსაკუთრებით დიდი ოდენობის სახელმწიფო ქონების დატაცებაში. პროცესის პროკურორი ვაშაკიძისათვის 14 წლით თავისუფლების აღკვეთის მისჯას მოითხოვს.

ღარიბაშვილის მტკიცების თანახმად, რემი ვაშაკიძის მიერ გამოცხადებულ შიმშილობას მოტივად უდევს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან მინდია უგრეხელიძესთან, პენიტენციალური სისტემისა და პატიმართა უფლებების დაცვის საპარლამენტო ქვეკომიტეტის თავმჯდომარესთან ელენე თევდორაძესთან და გენერალური პროკურორის მოადგილესთან როლანდ გიგილაშვილთან დაუყოვნებლივ შეხვედრის მოთხოვნა უდევს.

„ვაშაკიძე ნორმალურად გრძნობს თავს, მშრალი შიმშილობის გამოცხადებას არ აპირებს, რადგან დიაბეტითაა დაავადებული“, – უთხრა პრაიმ-ნიუსს ქართლოს ღარიბაშვილმა. (პრაიმ-ნიუსი)

## ირაკლი მენაღარიშვილი: ბორის ელცინი პრინციპულად მოითხოვს აფხაზეთის შესახებ დოკუმენტის სისრულეში მოყვანას



„დსთ-ის ქვეყნების მეთაურთა კიშინიოვის სამიტზე წარმოდგენილი ახალი დოკუმენტი აფხაზეთის საკითხზე განხილვის ნაცვლად აღსრულებას უნდა ექვემდებარებოდეს, – ასეთი იყო ბორის ელცინის პრინციპული მოთხოვნა თანამეგობრობის ქვეყნების მეთაურთა მიმართ“, – თქვა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა პრეს-კონფერენციაზე.

მენაღარიშვილის თქმით, დსთ-ის სახელმწიფოს მეთაურთა წინა სამიტის გადაწყვეტილება აფხაზეთის ტერიტორიაზე ლტოლვილთა დაბრუნებისა და სამშვიდობო ზონის გალის რაიონის მთელ ტერიტორიაზე გაფართოების შესახებ არ შესრულდა, რასაც უარყოფითი შეფასება მიეცა კიშინიოვის 23 ოქტომბრის სამიტზე.

ახალი დოკუმენტის თანახმად აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთის სამშვიდობო ძალებს მანდატი 1998 წლის 31 იანვრამდე გაუგრძელდათ. დსთ-ის სამშვიდობო ძალებს გალის რაიონში ლტოლვილთა უსაფრთხო დაბრუნების უზრუნველყოფა დაევალა. „ამ მიზნით სამშვიდობო ძალების შტაბი გადაადგილდება უსაფრთხოების ზონაში – ქალაქ გალში“ – თქვა მენაღარიშვილმა.

დსთ-ის ქვეყნების მეთაურთა საბჭომ მოითხოვა აფხაზეთში ამ პროცესების გადაუდებლად დაწყება.

„დოკუმენტი იმ სახით უნდა მივიღოთ, როგორც წარმოდგენილია – ამ სიტყვებით გამოხატა თავისი პოზიცია ელცინმა. მან თანამეგობრობის ქვეყნების საგარეო საქმეთა სამინისტროებს დაავალა ამ გადაწყვეტილების ოფიციალურად გაფორმება“, – თქვა მენაღარიშვილმა. (პრაიმ-ნიუსი)


მოსკოვის პროსპექტის ბოლოს ქარხანა განთიადთან (ოცხელის ქ.№24) მე-5 სართულზე იყიდება 3 ოთახიანი ბინა ლოჯიით, სარდაფით, ტელეფონით, ექსპერიმენტული პროექტით. საწყისი ფასი 10500$

ტელ. 71-96-76 ოთარი, ნანა


ილია ჭავჭავაძის საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საზოგადოების დარბაზის წევრი

**გოჩა დონდოლაძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 1997 წლის 25 ოქტომბრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები:

| | | | |
|---|---|---|---|
| ავსტრალიური დოლარი | 1/ | 0.9149 | ლარი |
| ავსტრიული შილინგი | 1/ | 0.1046 | ლარი |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 1/ | 2.1184 | ლარი |
| ბელგიური ფრანკი | 10/ | 0.3560 | ლარი |
| გერმანული მარკა | 1/ | 0.7336 | ლარი |
| ჰოლანდიური გულდენი | 1/ | 0.6511 | ლარი |
| დანიური კრონი | 1/ | 0.1927 | ლარი |
| იტალიური ლირა | 1.000/ | 0.7507 | ლარი |
| კანადური დოლარი | 1/ | 0.9350 | ლარი |
| ნორვეგიული კრონი | 1/ | 0.1822 | ლარი |
| აშშ დოლარი | 1/ | 1.3000 | ლარი |
| ფინური მარკა | 1/ | 0.2457 | ლარი |
| ფრანგული ფრანკი | 1/ | 0.2191 | ლარი |
| შვედური კრონი | 1/ | 0.1708 | ლარი |
| შვეიცარული ფრანკი | 1/ | 0.8851 | ლარი |
| იაპონური იენი | 10/ | 0.1068 | ლარი |
| ეკიუ | 1/ | 1.4448 | ლარი |
| ესპანური პესეტა | 10/ | 0.0871 | ლარი |
| ბერძნული დრაჰმა | 100/ | 0.4669 | ლარი |
| ირლანდიური გირვანქა | 1/ | 1.9013 | ლარი |
| ისლანდიური კრონი | 10/ | 0.1801 | ლარი |
| ქუვეიტური დინარი | 1/ | 4.2735 | ლარი |
| პორტუგალიური ესკუდო | 100/ | 0.7217 | ლარი |
| სინგაპურული დოლარი | 1/ | 0.8270 | ლარი |
| თურქული ლირა | 10.000/ | 0.0714 | ლარი |
| ეგვიპტური გირვანქა | 1/ | 0.3824 | ლარი |
| რუსული რუბლი | 1.000/ | 0.2214 | ლარი |
| ლიტვური ლიტი | 10/ | 3.2516 | ლარი |
| ლატვიური ლატი | 1/ | 2.2314 | |
| ესტონური კრონი | 10/ | 0.9170 | |
| ყაზახური ტენგე | 10/ | 0.1720 | ლარი |
| ბელორუსული მანეთი | 10.000/ | 0.3291 | ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10/ | 6.9333 | ლარი |

24 ოქტომბერს თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე დოლარის კურსი არ შეცვლილა – 1.300 ლარი/$. ვაჭრობაში მონაწილეობდა 2 კომერციული ბანკი. მიწოდებამ 16400 აშშ დოლარი შეადგინა, მოთხოვნა 105 ათასის ტოლი იყო. ეროვნულმა ბანკმა 88600 აშშ დოლარი გაყიდა. (გეა)

## მაყირავორდი



თარაზულად: 3. „მსმელი“ მცენარის მიწისქვეშა ნაზარდი; 8. „მუხებით“ განთქმული თბილისის უბანი; 9. „ველში“ მცხოვრები პაპუასი; 10. „ზურას“ საკრავი; 11. „ტენტიანი“ საავტორო უფლება; 12. „ვადიანი“ შტატი; 13. ლუკმის ჩასავარდნი ჭურჭელი; 15. „ნახატი“ გოგო; 18. ცივის და ცხელის „საშუალო არითმეტიკული“; 21. „აქტორებით“ გამომუშავებული აპარატი; 22. „კარგი ამინდის“ სალოკაციო მოწყობილობა; 24. „ულლიანი“ ერთა გაერთიანება (რუს.კავშ.); 25. „კეტიანი“ შეფუთული დასტა; 26. „არეული“ სოლო ნომერი ოპერაში; 27. „ციალას“ სახელ-გვარის აბრევიატურა; 30. „ტიტების“ მოყვარული ეგვიპტელი დედოფალი; 31. „ნაცრისფერის“ მოწინააღმდეგე ჯარისკაცის ჩინი.

შვეულად: 1. საოჯახო, გასატეხი მინი-სეიფი; 2. ამ ქვეყანას როგორც თვალის „ჩინი“ უნდა გავუფრთხილდეთ; 3. „იკას“ მეცნიერული საგანი; 4. „სურების“ მკეთებელთა დაბა ქართლში; 5. „ვანელი“ კაცი; 6. „საბანავებელი“ კერძი (რუს.კავშ.); 7. „მტირალა“ დესპოტი; 13. „ირანული“ „შველი“; 14. „მანდ“ მყოფი ქალის თავსაბურავი; 15. „გახარებული“ ცხოველი; 16. „ტრამვის“ მისაღები ასახტომი დაქანება; 17. პიონერთა „ტეკებით“ სახელგანთქმული ბანაკი; 19. „გაპარსვის“ „წინააღმდეგი“ ძვირფასი ქვა (რუს.კავშ.) 20. „ვისტის“ მოთამაშე ენათმეცნიერი; 23. „პირ“ ბასრი სამართებელი; 28. „პირველი გემთმშენებელი“; 29. „კახური“ სამშენებლო მასალა.

**ვალერი კოსტავა**

## ლატარია ყველასათვის

### 24 ოქტომბერს გათამაშებულ 42-ე ტირაჟში „ლატარია ყველასათვის“ მოიგო შემდეგმა ნომრებმა:

| | |
|---|---|
| **საცხ. ბინა** – 153621; | 50 ლარი – ·46702; |
| 5000 ლარი – 443355; | 50 ლარი – ·15411; |
| 1000 ლარი – 643147; | 40 ლარი – ·19127; |
| 900 ლარი – 336795; | 40 ლარი – ·36543; |
| 800 ლარი – 128850; | 30 ლარი – ·20985; |
| 700 ლარი – 244420; | 30 ლარი – ·42167; |
| 600 ლარი – 420389; | 25 ლარი – ··9038; |
| 500 ლარი – 622654; | 20 ლარი – ··8881; |
| 400 ლარი – 609078; | 10 ლარი – ···258; |
| 300 ლარი – 329177; | 10 ლარი – ···343; |
| 200 ლარი – 653125; | 10 ლარი – ···502; |
| 100 ლარი – 140361; | 5 ლარი – ···494; |
| 100 ლარი – 635058; | 5 ლარი – ···585; |
| 100 ლარი – 351585; | 1 ლარი – ···850; |
| 100 ლარი – 442561; | 1 ლარი – ···078; |
| 100 ლარი – 542985; | 1 ლარი – ···147; |
| 90 ლარი – ·48562; | 1 ლარი – ···389; |
| 90 ლარი – ·24652; | 1 ლარი – ···125; |
| 80 ლარი – ·20761; | 1 ლარი – ···654; |
| 80 ლარი – ·53280; | 1 ლარი – ···420; |
| 70 ლარი – ·39307; | 1 ლარი – ···177; |
| 70 ლარი – ·31103; | 1 ლარი – ···621; |
| 60 ლარი – ·08296; | 1 ლარი – ···795; |
| 60 ლარი – ·59494; | 1 ლარი – ···355; |

„ლატარია ყველასათვის“ გათამაშდება ყოველ პარასკევს.

1997 წლის 42-ე ტირაჟის ლატარიის ბილეთების მფლობელები, რომელთა ბოლო ოთხი ციფრია **4030**; შეუძლიათ 31 ოქტომბერს მობრძანდნენ ტელევიზიის შენობაში „ლატარია ყველასათვის“ მორიგი ტირაჟის გათამაშებაზე.


მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444